# ცისკარი.

## 1871

## ნოემბერი და დეკემბერი

წელიწადი მეთხუთმეტე.

---

წ ო დ ე ბ ა თ ხ ზ უ ლ ე ბ ა თ ა:


I. ანდერძი. (ქართულის ისტორიისა თჳს მასალეები.)

II. ალლავერდი. (ლექსი სოლლოგუბისა.) ნათ. ი. კ.

III. ღარიბი ქოხის მეჰაშმაკე. (მოთხრობა.) ნათ. ი. კ.

IV. რამდენიმე სიტყვა უფ. ქელიხოვსკის ლექციაზედ ი. კ.

V. მწუხარე დედა. (ლექსი.) ილია ნატრაევისა.

VI. ასანა ლეკის თავს გადასავალი.

VII. ნარევს ნარევი· ლ. მ.


---


ტფილისს.

მარტიროზიანის ტიპოგრაფიაში.

## ცისკრის რედაქციისაგან.

ვინცა კითხულობს ჩუჱნსა ცისკარსა იმ წლითგან, რა წლიდგანაც დავიწყეთ გამოცემა, იმას კარგად მოეხსენება, რომ მომავალს 1872 წელიწადს ეს ჟურნალი გადადგება მეთექვსმეტე წელიწადში, რაც საკუთრივ ჩუჱნ ჴელთ მძღვანებლობით გამოდის; ამასთანავე ესეც მოეხსენება, თუ რა ღირსებითაც გამოიცემა, ან რა შრომაც ეჭირება. მართალია, ბევრი ნაკლულევანება აქუს, მაგრამ ესეც მართალია, რომ ამ ნაკლულევანების მიზეზი არის ღონის მიება, რადგანც იმდენი ჴელის მომწერნი არა ჰყავს, რომ შეიძლოს ღირსეულად გამოცემა. კიდევაც ჩუჱნს მეცადინეობას და სასოებას არა ვკარგავთ და ვეცდებით მომავალს 1872 წელიწადს გამოვცეთ უკეთესად. ასლა ამის მეტს ვეღარას ვიტყვით—ჩუჱნის მეთექვსმეტის წლის შრომის პატივს საცემად, პატივის საცემად იმ მამა-პაპეულის ენისა და იმ მწიგნობრობისა, რა წმინდა ქართული ენითაც იბეჭდება ეს ჟურნალი—იმედი გვაქვს ჴელს მოგვიწერენ ქართულის ენის მიმდევნი პირნი, ამითი გაგვამხნევებენ, რომ ვიზრუნოთ სამშობლოს ენისათვის.

ფასი ყველას მოეხსენებათ. გაგზავნით, თუ გაუგზავნელად არის რვა მანეთი. ვისაც სურდეს ამ ჟურნალის დაბარება, ვთხოვთ ამ ადრესით დაიბარონ და ხვედრი ფულიც გამოგზავნონ:

«ცისკრის» რედაქტორს ივანე კერესელიძეს.

# ალლა-ვერდი!

სოლოლოღუბითგან.

## I.

დიდი ხანია ივერის ქჳეყნის
ჩვეულებისა მოთხრობა გაცვდა,
გამოჩენილთა ჩჳენთ წინაპრების,
მხოლოდ ერთიღა ჩჳენ სიტყჳა დაგვირჩა,
საქმის სათავე იმ სიტყვაშია,
ვით ამხანაგი მარად გყჳავს გვერდით,
უბედურს დროს, თუ ლხინში, მღერაში,
სულ ამას ვანბობთ: ძმავ ა ლ ლ ა ვ ე რ დ ი!

## II.

ოდეს კავკაზი მოცლილს დღეს ილხენს,
ტიკჭორებს აძლევს თავისუფლებას,
აქ აზარფეშა წკრიალით ირბენს
მოლხინეთ შორის, დ ყველა იმღერს.

დადის თასიცა მოუღალავად,
    ფეხს ვერ მოიცლის მათში ვერც ერთი
და ცისკრობამდინ ეს ისმის კვალად
    ტოლუმბაშისგან: ძმავ ა ლ ლ ა ვ ე რ დ ი!

## III.

    ალლავერდი ძმავ! ღმერთი გიძღოდეს,
ეს აზრი არის ამა სიტყვისა,
    კავკასის შვილი რა ამას ისმენს
აღარ ეშინის იმას ტყვიისა.
    ამას ვიტყვით და. გავწევთ ომისკენ,
რიგს აღარ ველით, ჩჳენთან არს ღმერთი,
    ვინც მოკვდა, გზა აქჳს სასუფევლისკენ,
ვინც დარჩა, ვეტყვით. ძმავ ა ლ ლ ა ვ ე რ დ ი!

## IV.

    მხოლოდ ბუნებით ვართ ჩჳენ მდიდარი,
მაგრამ კავკასი მას ჩვეულია:
    თუ რომ ეწვია ჩჳენს ქოხს სტუმარი,
იმისთჳს მუდამ კარი გვაქჳს ღია.
    სტუმარი არის საუნჯე ღჳთისა,
უარს ვერ ეტყვის ჩჳენში ვერც ერთი,
    მდიდარი, გლახა, ვინც იყოს ისა,
მაინც მას ვეტყვით: ძმავ ალლავერდი!

## V.

და თუ გვეწვია ჩჳჱნი მპყრობელი,
ვის არ უხარის ქჳჱყნის მზის ნახჳა,
მაშინ აღდგება ლხინად ყოველი
ყაზბეგ, იალბუზი, არარატის მთა.
და ერთბამ, ერთად, მრთელი კავკაზი,
ყოველს ენაზედ, ყოველს ხმაზედა,
ერთისა სულით, ერთისა გრძნობით.
ისევ მას ვამბობთ ძმავ ა ლ ლ ა ვ ე რ დ ი!

## VI.

შენ გადმოგვფინე უხვად კურთხევა,
ცოლით, შვილებით შენ დაგვიხსენი,
შენ მოგვიგონე უნცროსი ძმები,
შენ მოგვანიჭე ჩჳჱნ განათლება.
შენგნით ვამაყობთ, ვამპარტავნდებით,
კურთხეულ იყავნ, ღმერთს ამას ვვედრით
დიდო ჴელმწიფევ, ღმერთი გიძღოდეს,
ჩჳჱნ მაინც ვიტყვით: ძმავ ა ლ ლ ა ვ ე რ დ ი!

---

ი. კერესელიძე

სახელითა მამისათა დ̃ ძისათა დ̃ სულისა წმიდისათა:

მე უბადრუკმან დ̃ ჭეშმარიტადდიდად ბრალეულმან ოსეს შვილმან იესემ ვინებე თჳთ ჴელითა აღწერა ცხოვრებისა ჩემისა. ვინათგან ვიქმენ დასაწყის ქცევისა დ̃ ცხოვრებისა შვილთა ჩემთასა ჯერ იყო რათამცა მეგლიცა ესე დამეტევა მე შვილთა ჩემთათჳს.

მე ვიყავ მადლითა ქრისტესითა ჭეშმარიტი აღმსარებელი მართლისა სარწმუნოებისა, რომელსა აღიარებენ დღეს ბერძენნი, რუსნი დ̃ ქართველნი დ̃ უწყის სახელმან ღ̃თისაგან, თვინიერ სარწმუნოებისა ამის არა რა უწვრთიეს გონებასა ჩემსა:

დაწერასა ხამის ანდერძისა ჩემისასა ვიყავ წლისა ორმოცისა, დ̃ ვინათგან სრულებად მოვიწიე აწღა ვიწყე წერად ცხოვრებისა ჩემისა.

ქრისტეს აქეთ ჩღჲდ აპრილს იგ: რანი ჭირ დებულებანი მქონან მე არა გრიდებ მიგითხრა თქჳენ შვილნო ჩემნო რომელნი მომეცენით მე ღ̃თის მიერ წყალობად სიყმე სიჭაბუკისა ჩემისა სიცოცხლე სიხარულად; მოხუცებულებისა ჟამსა პატივის მცემელად დ̃ მორჩილ საყოფელად; დ̃ სიკვდილისა ჟამსა მდიდრად დამმარხველად დ̃ შვილთა დ̃ შვილის შვილთაგან თქჳენთა მარადის განსჯულვისა ებრ ჩემისა სიკვდილისაგან

ჩემისა რომელი თჳთ შრომით ჩემით მკიდია ყოველი და არათუ მამისა და პაპისაგან რამ მქონებია ამათი სამართლით სულისათჳს ჩემისა მოსახმარებლად:

ვინათგან ვარ მე დღეს ორმეოცსა შინა წელსა, ესე არის სრული კაცთა ბუნებისა აწინდელი სისრულე. და მიგითხრა თქვენ რამეთუ ვარ სიმაღლითა, ასაკისათა შვიდისა ჩარექისა წყთეული, სიწლოთა ფრიად წვრილ და მჴე ფელნი და ფერხნი მსუბუქ და წვრილ. თვალნი გრემან, თმანი და წამწამნი ქერა და ხორცნი თეთრ ფეროვან გარნა ყოველი წარწყმიდოს შავმან ჭიქამან საფლავსა მიწამან. ზნედ მაქვნდა მიღება საზრდელისა არცა მრავალ არცა მცირე. ღვინის სმა შეზომილ და ერთს ჩარექს ღვინოს არც დავაკლებდი და არც ამის მეტს ვიკმავებდი ნებით ჩემით და თუ ლხინსა მიწოდიან, დავლევდი, მარა ჩემს ჟამში კაცს მთვრალი არ უხილავარ. არაყი, ძმარი უგემო იყო ჩემგან, რომ სიტკბო და სიმწარე არ ვიცოდი, თაფლსა და პილპილსაც ვერიდებოდი და როგორც არაყი და ძმარი უგემო იყო ჩემგან, ეგრეთვე თავდებად დადგომა, ფსონში ჯდომა, ყუმარს თამაშობა და მომღერლებთან სმა სრულად გამოუცდელ იყო ჩემგან.

ჩემი ქცევა ეს იყო, კარგი სახლები მქონდა. მცირეს თუ ბევრს ვიშოვიდი, რასაც ღმერთი მომცემდა სტუმარს დიდად ვეწყობოდი. ვიწვევდი და უფრო ძვირად ვეწვეოდი. რაც წლის მოსავალი მომივიდის, ჭეშმარიტად მცირე-მცირეს წილს დაუდებდი თჳსითა ჩემთა.

მეუღლე მიყვარდა სჯულიერად, და ორსა და სამს მას კიდევ გულს ვაწვევდი იმის სიყვარულსა.

შვილნი მიყვარდით და კაის ჩაცმა დაბურვით გზდით თუ ღმერთი ინებებს სწავლაში და უზრუნველობაში. ძმა და რძალი მიყვარს და დები და რაც ძალ მიძს ვმსახურებ.

მსახურები მასლავან კარგნი რომ ჩემს ჴელს კაცს არავის ახლავს. ჩემნი დაზდილები არიან. მიყვარან და მეიმედებიან, ასრევე თქვენ ქმენით შვილნო, და ღმერთი მოწყალე არის არ დაგაგდებსთ.

ჩაცმა და დახურვა მიყვარს, და არც მაკლია ღმრთის მოწყალებით საზომისაებრ ჩემისა. ცხენი და იარაღი მქონდა და მყავს კარგი ცხენები და ჩემს ჟამში ამ ყოფით ვიყავი დღეისამდე და დღეის წაღმართ ღმრთის ნება იყოს.

ვიცოდი ხუცური, მხედრული და მრგლოვანი წერა კარგად. მცირე რამ მესწავა მამისაგან ვახტანგისა და ვართაპეტი ზაქარიასაგან, კათალორია პორფირი.

ვიწყო დასაბამით ცხოვრებისა ჩემისა. უკეთუ ღმერთი შემეწევის მე ყოველივე სიმართლით აღვწერო. მამა ჩემი იყო სიონის დეკანოზი იესეს შვილი და ფრიად კეთილისა კაცისა შვილი, და თვით მღვდელი, წმიდისა სიონისა ეკლესიისა, დიდად მეცნიერი ღვთის მეტყველთა წიგნთა და ეგრეთვე საფილოსოფოსოთაცა, გარნა დიდი მოღვაწე ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა და დიდად მეცნიერი წმიდათა და ღმერთ შემოსილთა მართლისა სარწმუნოებისა ეკკლესიათაგან შეწყნარებულთა. მღვდელთა მთავრითგან მეგლდებულთა წიგნთა და დღითი დღე

მოძღვარი ერისა, მასწავვებელი მღვდელთა და დიდი ქადაგი ეკკლესიისა და პატივ ცემულ ყოველთაგან მის ჟამსა მთავართა რომლისა ძალით მრცხვენის მე წოდება მისა, ~~ორ~~ საქმენი შორს მყოფენ შვილად წოდებასა მისსა: და დედა ჩემი იყო დაბისაგან მცირისა კერძო აზნაურთა შვილთა ასული, გარნა კეთილისა გავიბედა შვილსა, და მე უბადრუკი მუნ დავიბადე საჯავახს რა მთასა შინა ლეკთაგან დასიზნებულთა ერთა შინა თვესა ნოენბერსა, რომელსა ჩუენ, ქართველნი გიორგობის თვედ უწოდებთ, რიცხვსა მეათესა. და ამას მეათესა რიცხვსა, ყოველნი საქართველოსა ერნი, დღესასწაულსა ვყოფთ ვინათგან სასწაული განცხადებული ხილულ ირს წმიდასა ამას დღესა.

თვესა გიორგობისა ი-სა აქეთ ჩღკჳ ქართულსა ქორონიკონსა უოვ. იგი წელიწადი, ერთი მთიდამ სხჳა მთად, სოფლით სხჳა სოფლად მავლინებდენ ლეკისაგან, განძარცვნილი და დაბნეულნი და მომნათლეს მე ძალითა ქრისტესითა. ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა ეკკლესიასა აღმოსავლეთისასა. და მიმრქმელ იყო ჩემი ყაფლანის შვილი ორბელ მდივან ბეგის შვილი ვახტანგ, რომელი ჯერეთ არ მიქცეულიყო ლათინთა კერძ.

ორი წლისა რომ შევიქენ, მომიყვანეს ბირთვისის ციხესა და ხუთ წელს მუნ ვიზრდებოდი. მეექვსეს წელს რა მივიწიე და ნადირ შაის ანბავი მოვიდა, ქალაქს ჩამომიყვანეს. მერმე რომ სრულად გაცხადდა მისი ანბავი, წვერის ციხეში გამგზავნეს და მუნ ვიზდებოდი

გლეხებთან. და ერთი აზნაურ შვილი იჯდა რევის შვილი, იმათთან მიმიყვანდენ, მათამაშებდენ და დიდი ჯატივის ცემა მქონდა აზნაურთაგან, მღვდელთაგან და გლეხთაგან ვინათგან ხამწყო ტფილელისა იყო და მამა ჩემი იყო სახლთ უხუცესი სატფილელოსი. და ამას სოფელსა შინა იყო შეკრებილი სრულად მისის ფეობის დაბების გლეხნი. და აქ მოკლეს ~~ქრისტიანობისთჳს~~ გიორგი ვინმე. [illegible] მიქცეულ იყო მცირედ ჟამს ოსმანლთა მიმართ, ხშირად მოვიდა აქ და დასახსიხნავად. თან მოჰყვნენ ოსმალნი და მუნ მოაკვდინეს.

ამ წელიწადში, საწყალობელი მამა ჩემი, ბარძიმ ერისთავს, ორი ქსის თავდებად დასდგომოდა ამ გზით, რომ თავისის დედის მარგალიტ მეირ ფასი, გირაოდ მიეცა. მერმე მაჭმად ბეგის იასაულით ისიც გამოერთმევინა, ეს ორი ქერა თეთრი თავს დაედვა, ისარგებლა და მამა ჩემს ას სამოცდა შვიდი თუმანი ამ ბარძიმის ბარობაზედ თავისი გაუვიდა. რომ თავისი დაწერილი დავთარი თვითეულად აკხადებს. ყზილბაშობას, შინდისი და თავისი სასახლე გირაოდ მოსცა. ის ანანურს ამოსწყვიტეს. შინდისი ხარაბა იყო, მერმე მეფემ ერეკლემ დაიჭირა, სასახლე ქალაქს რომ წავვართვა იბ წელიწადს ქირას ის იღებდა და დავრჩით ჩუენ საცოდავად. ამ თეთრმა ესე საქმე გაუჭირა საწყალობელს რომ მეტი აღარ იქნებოდა. თუ რამ ან მამული ჰქონდა ან მარგალიტი, ან ცხვარი, ან ძროხა, ან იარაღი, ყველა გაყიდა და მისცა. დავრჩით ღარიბი, სასახლეც მოვალეს

დაუგირავა და გალაყნის სენაკებში შევედით და იქ დავ-
დექით. დიდს სიღარიბეში ვიყავით. სამოცი თუმანი კი-
დევ ემართა და ამის სარგებელისათვის თვე და თვე აწუ-
ხებდენ საცოდავსა და ვწუხდით დიდი და მცირე. ან დე-
დის ჩემის იარაღი იყო, ან ჩემი იყო, ბანცუას მონა-
ცემი ყველა გაყიდა და მისცა. და სამოცი თუმანი კი-
დევ ემართა სარგებლით,

მეშვიდეს წელს რომ მოვეწიე, და ნადირ შაას ჯა-
რი ქალაქში შემოვიდა ხანჯან ხანად ებმანა, ყიზილბა-
შნი შემოვიდნენ და ოსმალნი წავიდნენ, ამ ჟამს ქალაქს
მომიყვანეს.

ამავ წელს ღვინობის თვის ვ შემოვიდა და გამ-
წავიდა. ნადირ შაჰ. ქალაქს რომ შემობმანდა, ტყვილე-
ლად ბიძა ჩემი ეფთვიმი ბმანდებოდა და ვიყავით დიდს
იწროებაში სიღარიბისაგან და მოვალებისაგან ამ წელი-
წადში ვიყავ დაჩაგრული, ტყვეობის შიშით ცალკე, რომ
მუდამ აკლდამებში ვისხედით, დაჭერილი ვიყავ ტყვედ
და ცალკე სიღარიბისაგან და ცალკე მამას ჩემს რომ მო-
ვალები აწუხებდენ იმისაგან. წიგნს მაკითხებდენ, გალო-
ბასა და წერას მასწავლიდენ. ვიყავ ეკკლესიის გალა-
ვანში: და რა რომ ტყვეებს კრეფას დაუწყებდენ, აკლდა-
მებში ჩავვსხამდენ მე და ჩემს დას ასუას: ეს ქალი ჩემი
უმცროსი იყო და მიქელის სპასალარი დოლენჯი შვილს
ჰყავანდა. ამ ენკენის თვეს მოვიდა
და მოკლეს. იბრაიმ ხან სპასალარი რომ ჯარში შევიდა
იმ წელიწადს ასეთი ჭირვება ასტყდა რომ ნახევარ ქა-

ლაქი ამოსწყდა. ის საწყალი ჩემი დაც იმ ჟამს მოკვდა. ჩემის მეტი ვაჟი შვილი არა ჰყავდათ. ცხენს შემსვეს და ღოლოვანს გამგზავნეს ბერუას სახლში. იქ ვიყავ, დედისა და მამის მოშორვებისათვის დიდად შეწუხებული და გლეხებთან ვერ გამლებული სანამდის სენი გარდამიხდებოდა. მერმე ჩამომიყვანეს და ვიყავ მაშინ წლისა ცხრისა.

და ამ წელიწადში. წერისა გალობისა და წიგნის სწავლის მეტი რა შემლება მექმნებოდა: მხედრული და ხუცური წერა ვისწავლე. გალობა ზოგი იოთამ მატბერა შვილისაგან და ზოგი იოსებ მრავლისგან და ვიყავ:

მეათორმეტე წელიწადში რომ მივიწიე, მამა ჩემმა მამის და სოფელი იყიდა მთელი თავისის გლეხებით. ასე რომე სოლაღა შვილებს დიმიტრი ყაფლანის შვილისათვის მიეყიდათ. დიმიტრი რომ მიიცვალა მალექაათი ეწერა ამ სოფელს. ყოველს წელიწადს მალექაათს ყაფლანსა და ზაალსართმევდენ და ერთი შაური შემოსავალი არა ჰქონდათ. მათია დამალული იყო და სხვები კახეთს იყვნენ. მამა ჩემი შეევაჭრა და მოჰყიდეს, რაღა მოგასხსენოთ რაც ამ სოფლის მალიათისათვის ჩვენ სასჯელი მოგვეცა, ჯერ წვრილმალნი სარჯი ითხოვეს და მისცა, მერმე აბაზად კოდი პური ითხოვეს და ორ მინალთუნად გვაყვიდინეს, და ისე წაგვართვეს. ეს თეთრი ციხელის შეფინას შვილისაგან თუმანი ათ შაურათ ავიღეთ. ექვსი მინალთუნი იყო და მისი პური ესე წაგვართვეს!. დიაღ ბევრი თეთრი შეიქნა ეს სარგებელი. სამი წელიწადი გვემართა.

მერმე კამბეჩები გვაისოვეს, მერმე ვარები ითხოვეს, მერმე შანშეზედ ჯარი იყო სურსათი ითხოვეს. მერმე მუჰიაზი მოვიდა, მალიათს ერთს ორად ზოგან ერთს სამად აწერდა. ადგა საწყალობელი თან გაჰყვა. ზამთარი იყო, მამას და ბიძას რომ მოადგნენ დასაწერად, შაქარლამა და ზოგი რამ იარაღები მიართვა და დავთრიდამ ამაალებინა. ამაებში ყველაში ოთრი გამოვართვეს. ჭეშმარიტად ირწმუნეთ ეს ამთენი გაგვივიდა და სრული ნამეტნავად მეტი. და რვა მინანთუნი მათიას მოუცია, სამი მინანთუნი მახარებელს ამ ჟამს ვექილად ისხდენ სარდარი ქაიხოსრო და გივი ამილახვარი: ამილახვარმა ველარ გასძლო, გაექცა და ციხეები გაამაგრა. ოსმალს დაუწყო ლაპარაკი იქიდამ, ხაზინა მოატანინა და ზემო ქართლი მთლად იმას ახლდა. ორ წელიწადს უწინ შანშეს . . . ამ ხანში მოკლა იოანე ბერის დიაკონი. იმ წყეულმა . . . მეათოთხმეტეს წელს რომ მივიწიე, მამა ჩემი იმერეთს წავიდა სათხოვნელად. ამისათჳს რომ ვალმა დიად შეაწუხა, და საქმე გაუჭირა. გამიშვა აქ ყმაწვილი სამოცის თუმნის მოვალების ჴელში. და იმდენის სულის ხიზნის შემნახველად მე ვიმედებოდი. არაფერი ჩუენი სარჩო არა ყოფილარა სამწყსოს მეტი. და ეს იყო ჩუენი შემოსავალი. როგორ დაიწერება ჩემი სასჯელი ან სიღარიბისა, ან სიმშილისა და უპურობისა, ან მოვალებისაგან მუდამ მოსდომისა დატუქსვა, რომ მგების ოსე იქ მოკვდეს რას პასუხს გავცემო. ან ტფილელის ათანასისგან სხვისა-და სხვის წყრომისა და რი-

სხვის ქალებისაგან რომ მამა ჩემი და ის დიაღ იმდუროდენ. წასვლაზე შენდობა კი მისცა, მას აქ ბევრი გვავნო იმისმა გულ მვირად ბმანებამ და ამასთან რაღაც ეშმაკი მამის დაბა აგვიტყდა. იმისი სარგებელი ყოველს თვეს გვერთმეოდა და ან თამასუქზედ თავნად გვაწერდა თუმანს ათ შაურად. ოცი თვე იყო იმერეთს და ჩვენ ამ ყოფაში ვიყავით. და ტფილელისაგან დღითი დღეიასაული არ გამოგვიწყდებოდა. ხან სამწყსო წამართვა და ბატონის შვილი ანუკა შუა შემოვიყვანე, ჩამობმანდა და მოაცემინა. ხან სტიხარი წამართო, ხან საყდარის მოვალეს მომისევდა, ღმერთმან ყოველი იხრუნა ჩემთჳს და ამდენი სასჯელი ღმერთმან სიხარულად გარდამიქცია, თორემ უფროსი სასჯელი აღარ ითქმის, რაც მე ამ ოცს თვეში მქონდა. მივიდა საწყალობელი იმერეთს, თხოვნით მაგდენს რას იშოვიდა იმერეთს, საბერძნეთში დააპირა წასვლა. ოდიშს რომ ჩავიდა, იქ ჩემი მომნათლავი ვახტანგ დახვდა. ასე მყოფი რომ ნახა, დიდად შეწუხდა. უყვარდათ ერთმანეთი, ერთი თვე თავის სახლში დააყოფინა, მერმე ბესარიონ კათალიკოსს მოჳვარა, მრავალი შესაბრალებელი სიტყვები მოახსენა და ოსეს მეცნიერება შესამატ კაცობა ქჳეყანაში დიდის სახელის შოება და მრავლის კეთილის შემინება. ესენი ვრცელად მიუთხრა. ერთს თვეს იქ ახლდა, განიხილა რომ რაც უანბო ყველა მართალი იყო. დასხდიან, დაწვიან თუ იარიან, სამნივ ერთად შექცევოდენ და დიდად მოეწონა ოსეს ქცევა, ცოდნა, ზდილობა, მდივნობა

დაწერა ორისავე ველისა. ადგა დ~ უთხრა: არც შენ დაგ-
კარგავ დ~ არც შენს ცოლსა დ~ შვილსაო. მისცა ორა-
სი ფური ცხენი დ~ ერთ ხელად ისე გამოისტუმრა დ~
წიგნი მოსწერა ქართველთა. მეორედ კიდევ რაც დარჩა
ისიც მოსცა დ~ გარდასწყვიტა. მოვიდა მამა ჩემი, დ~
ასე მევონა მკვდართ აღდგომა დღეს არის მეთქი: ცოლ
შვილები, მხლებელი ყველა მშვიდობით დავახვედრე დ~
მივაბარე. ჭეშმარიტად ორი შაური ვალი ჩემი აღუბუ-
ლი არ დამისვედრებია დ~ ვინ მომცემდა ვალსა. ამდენი
ვალი მემართა, რას ვამლევდი დ~ ან გირაო რა მქონდა
რომ ვალი ამეღო, ან რით მივცემდი. დიდება შენდა,
ღმერთო, იმდენი სასჯელი, ყოველი სულ მადლობით
მივითვალე, ჭეშმარიტად, ცოდვილმან დ~ დიდად ბრალე-
ულმან, დრტვინვით დ~ წუხილით მყოფმან გარდავლე,
თვარემ თუ მადლობით მომეთმინა კეთილ იყო სული-
სათჳს ჩემისა. ჩემი შემოსავალი ხამწყსო იყო. ვიჯექ
ბატონად. სენაკში სამღვდელოს წიგნებს ვწერდი ვყიდ-
დი დ~ იმით მოვრეწდი, შეგირდები მისხდენ ოცდა ათი
ზოგი სამღვდელო, ზოგი საერო, ისინი მმსახურებდენ
კარგად, დ~ ღმერთი გვზრდიდა, მეტად პატიოსნად გვეც-
ვა ყველასა. არა თუ ყუბაში მაგრამ კაცსა თუ ქალსა
მაუდის ტოლომა დ~ ლაინის კაბა, ახალუხი არა გვკლე-
ბია, აგრეთვე საჭმელი უნაკლულოდ გვქონდა დ~ ღათუ
იწროებით ვიშოებდით: მივედი, ბატონის შვილი ანუკა
ვნახე, მისი საყვარელი მედვა, პატივს მცემდა, ღმერთ-
მან სასუფეველში განუსვენოს დ~ ჩემთჳს იღვწოდა

იბმაის; მეფეს თეიმურაზს ქართლის მეფობა უბოძა ყაენმა მეფეს ერეკლეს კახეთისა. მაშინ ვიყავ წლისა თხუთმეტისა სრული და ექვსის თვისა.

რა მიმითხრა, რა სისარული იყო ჩუენგან. ტყვეობის შიშით სამი თვე რომ სიონის აკლდამაში ვისხედით, ამოვედით. ქართველობა შეიქნა, საყდრებში თათრების შიში აღარ იყო. ვექილები ვეზირები მუსტაფი რომ ქართველ ბატონს მსახურებდენ და თავს დაუკრევდენ, გაგვიოცდის და გაგვიკვირდის. შიგნით არმის სასახლე რომ ვნახეთ და მეფეთ მეჯლისი და დილაზედ სალამი უცხო რამ სისარული იყო ემაწვილის კაცისათვის. სამას ობაში ვალიც აღარ გვემართა. კარგად მეცვა, მეხური. და მეთექვსმეტეს წელს მივიდოდი. დიად უცხო დღე არის კაცის ასაკი მაშინ. დიდად მიხაროდა, დიდად მამწონდა თავი და დიდად მიმიტაცა სოფელმან. ავგისტოს სანატრელი თამარ დედოფალი შემობძანდა ქალაქში. და ამან უფრო სიხარულით აღავსო ყოველნი ქართლში მყოფნი. ყოველთა შვილეურებრ, გვიკითხევდა და ეგრე გვიწყობდა. ღმერთმან განუსვენოს, დიდი მოღვაწე იყო ქართველთათვის და უფროსიერთა, იქ ვასლდი ზამთრისაგან გაყინული, უღმთოს თათართაგან დაჩაგრული. იმ ღმერთის წყალობას ვხედავდი. სასუფეველი მეგონის.

ამ ზამთარს. მეფე თეიმურაზ გივი ამილახვარს შემოადგა დიდის ჯარით. ცხრა ათასი ყიზილბაში და ავღანი ახლდა და საქართველოს ჯარი. ყაზახ ბორ-

ჩალი. სხვა იყო ყაზახ ბორჩალი, ისაკ ფაშას აქეთ. ქართლზე ავჲს საყოლბეგეთ, რომ ყიზილბაშის ხანებსაც ვინც ქართლში ისხდიან, ყაზახ ბორჩალი საყოლბეგეთ ეჭირათ და ქართველ ბატონი რა საკურველია. მუდამ გვერდს ახლდენ, ყაზახში სფანჯერდი ხან იჯდა. და მონა იყო ქართველის ბატონისა და ბორჩალოს . მაჭმად ხანი იყო დიდის კაცის შვილი. მაგრამ ნადირ შაჰს ტუსაღსაჯთ გაეხადა, რომ ბორჩალოს ხანად ეპოძებინა და დიდად მსახურებდა მეფეს თეიმურაზს ეხეცა.

ექვსს თვეს შემოადგა და ნაღმით ნაღმი უყვეს სურამის ციხეში თოთონ იჯდა, ცოლიც იქა ჰყავდა: ახალ დაბის ციხეში დიმიტრი იდგა, კეხვს სჯრიდგან, წირქვალი რომ არის ამილახორი შვილი, არაგვზე ბეჟან ერისთავი შემოფიცებული და სიძე იყო და ის იდგა. ბეჟან უწინვე მოკლეს და არაგვი კას ბატონიბაში მეფემ თეიმურაზ დაიჭირა, ახალ დაბის ციხე დიმიტრიმ მოსცა. კესვს ციხე სარიდგან არაგვის ერისთავს შვილმა. წირქვის ციხე ამილახორის შვილმა რევაზ მისცა. შემოადგნენ სურამს, მომშველებელი აღარ ჰყავდა, ნაღმა მალი უქმნა და სანატრელი თამარ დედოფალი დაიჭირა მობმანდა და შემორიგა, წამიყვანა გივ მილახუდა ბანგუა ჩემი სისარული რაღა მოიხსენება, ბანგუა ვნახე. დღე აღარ მომიშორა და ღამე. დიაღ შეკვეთილი ვიყავი და შეჩვეული იმისი. ზოგი რომ ოქროს ღილები და ყაწიმი მომიტანა, ბიძამა და კელს მიმარ-

და ვიყავ განცხრომაში შვებასა და სისარულში. ოკტომბერსა 1, მეფე თეიმურაზ, მეფობის საცხებელი იცხო სვეტ ცხოველში.

მობძანდენ და სუფევდენ. სანატრელი და ყოველთა საქართველოთა დედა კურთხეული თამარ დედოფალი დასნეულდა. მამა ჩემს დიდად სწყალობდა, და ბატონის შვილს ანნას შვილი რომელიც თჳთ მის პალატში მობილიყო, და შვილს უწოდებდა; მამა ჩემს მოანათვლინა და შინაურად ჰყვანდა მამა ჩემი და სწყალობდა: მაგრამ მეფეს თეიმურაზსს უფრო უყვარდა, ამისათჳს, რომ ერთს დღეს იყვნენ დაბადებულნი, ოსე წინასწარ მეტყველის დღეს და თავის მუსაიფს უწოდდა, ამ სახელით.

მის დიდებულისა კაცისა ამბავი არა დავაგდო ამილახორის გივის. ვინათგან ჩემნი კეთილის მომატყუებელნი იყვნენ. ქაიხოსრო სარდარის აახლეს, ნადირ შაჰს და გივის ამილახორის ჩამოყვანა მოახსენეს და ჰპატივებას შეეხვეწნენ. იმ ჟამად წყალობა უბძანა და ბატონს სახლთხუცობა უბძანა, ოცს დღეს უკან ჩაფარი მოვიდა, აქ გამოგზავნეთო და თუ მანდ შეინახავთ თვალები დათხარეთო. თვალების დათხრას არა ქნეს და გაისტუმრეს, მივიდა და თვეში ათი თუმანი გაუჩინა, იყო ხორასანს.

მერმე ადილშაჰს დროს გამოიყვანეს, ქალაქის აღებაზე გაიპარჯა. ყულლარსობა უბოძა: მერმე იბრეიმ შაჰს დროსაც ყულლარსობა ჰქონდა. ის რომ გაფუჭდა, აქ მობძანდა. ~~ქრისტეს აქეთ ჩღმვ აპრილის . . იბ სანატ-~~

რელი და ხსენებული, დედოფალი მიიცვალა. ღმერთმან აბრაამის წიაღში განუსვენოს. უცხო გლოვა შეიქნა საქართველოში. ქართველნი დიდი კაცნი ყველანი ძმურად და ბატონ ყმურად თანა შეზრდილნი ახლდნენ აქავ ქართლში ბატონის შვილობაში. კაცნი უფროსი ერთი მისი დაზრდილი იყვნენ და დიდი მწუხარება შეიქნა რომ უფროსი აღარ ინახოდა. რასაც კაცს ნახევდი, ყოველი გული კვდებოდა და წუხდა. მიიღეს და და დამარხეს, და ყვენის შიშით, თათარი ცოლად არ გამამიგზავნოსო, მეფეთეიმურაზმა, კათალიკოზის ანტონის განზრახვით, და ზაქარია მოძღვრის მრავლის შრომით და ღვწით ანახანუმ იოთამის შვილის ბეჟანის ქალი დედოფლად მოიწოდა. ყაენს რომ მოხსენებოდა, საქორწილო ებოძა და ტყვეები ეთხოვა. შეიქნა ქართლში ტყვეების მებნა. და ამ ჟამს ვიყავი მე, თექვსმეტის წლისა და მეათჩვიდმეტესა ვმეწლეობდი. ჩაჩიკა შვილის ქალი დამიწიდნეს, მიტრაშენს იდგნენ და ჯვარი დამწერეს. მცირეს ხანს იქ ვიყავი, მერე წამოველ, და ზამთრის პირს ქალაქს ჩამოვედით. ქრისტეს შობის ჩ[illegible] ნადირ შაჰს წყრომა მოვიდა საქართველოზედ, და ურიცხვი და უანგარიშო თეთრი ეთხოვა მეფეებისათვის, ცალკე, თავადებისათვის, ცალკე, ქრისტიანისათვის, ცალკე. ავიყარენით და წამოვედით. იდ სულნი ჩვენა ვართ. არა გვყავს ცხენი, არა გვყავს ჯარი. ორი ურემი ვიქირავეთ, ერთი ცხენი და წავედით. მივედით დუშეთს და დავდექით. ბატონები ანანურს მობძანდენ. ქაიხოსრო სარდარი ასალ დაბის

ციხეში მობძანდა, სხუანი თავ-თავის ციხეებში. ვიყავით დუშეთს ამისთჳს, რომ უფრო კაი სახლები იყო და თვალთათჳსაც კარგი იყო. მაგრამ თუ ნადირ შაჰს ჯარი მოსულიყო, წავხდებოდით; ჩუენ ეს უმეცრებად მოგვივიდა. ზურაბ მეითარი, ქისიყის მოურავის შვილი, ყეენთან წარგზავნილიყო რომელსამე საქმეზედ და იმისის პირით მოვიდა ეს ამბავი. და ესეც ასე თქუა: თავრიზის ბეგლარბეგს საბიხტერს ამირასლანს ხანს ბძანება აქუსო რამდენიმე ათასი კაცი ამის მოსაგრევად უნდა გამოვზავნოსო და ამან უფრო ავვაწქარა, დიდი და მცირე, თუ ის ჯარი მოსულიყო. ვეების შემძლენი გამოსცლოდენ ქალაქსა, თორემ შეუძლებელნი სულ დატყვევდებოდნენ. ბატონებისა და ქუეყნის უკუ დგომა რომ გაიგონა, ამირ ასლან ხან, ჯარი ველარ გამოგზავნა. ნადირ შაჰსაც მართალი ჭკუა აღარ ჰქონდა მრავლის უბრალოს სისხლის ღვრისაგან, ღმერთმან საფარველი აჰხადა. ბძანდებოდა მეფე თეიმურაზ ანანურს სამს თვეს, მერე არჩიეს და ყაენთან ბძანება მოინდომა შესახვეწლად, თვარა ჴლმის კვრა ველარ ამჯობინეს. აიყარა და წამობძანდა ქალაქს, დიაღ დიდი ზიზანი წამოჰყვა, მოქალაქე და ქართველნი, რანიც ქალაქიდგან ხლებოდენ, ისევ ქალაქს იახლნენ. დევანოზი ბიძა ჩემი თავის შვილებითა და სახლეულით ჩუენთან იდგა. ისიც წამოვიდა, მამა ჩემმა შორს დაიჭირა. ბატონი, რომ არ აპატიოს კიდევ ინებებს წამოსვლას და სიმაგრეში შემოსვლასა, მე რითღა წამოვიდეო. აქამდე ამოვსულვარ

სანომდის ან სიკვდილს არ გავიგონებ ნადირ შაისას, და ან პატივებას, მე არსად წავალო. დავდექით იქავ დუშეთს. ვიყავით რაც სოფლურს გამლებინებას შეეფერება, აზნაურ შვილები და იქაურნი მასლობელნი გლეხნი გვამლებინებდენ. მამა ჩემმა დაიწყო სიარული, და იმერეთს წავიდა; დავრჩი ამდენის სულით, ამ უცხო ქუეყანაში. მარტო ჩემი შემწე არავინ ყოფილა ერთი ჩემი ჯავახი ბიჭი მახლდა. ყოვლად მრიელმან ღმერთმან თავის მოწყალებით დამიფარა, მსაფრობდა, მაძღობდა და მხდიდა; ვწერდი და ~~ვიკვითხდი~~ წვრილმანა წიგნებსა და იქაურნიც დიად გულს მიწყობდენ, ღმერთმან მიაგოსთ ყოველთავე.

ამავ წელს, აგვისტოსს, ჯანდიერ მოსულიყო ქალაქს, ნადირ შაჰს სიკვდილის დასტურობა მოეტანა და ადილ შაჰს გახელმწიფება. ქართველ ბატონის ქალი ჰყვანდა ცოლად. ბატონისა და ქართველთ დიდი პატივი და წყალობა, და სააკაძე ზურაბისა ვექილობა და სპარსალრობა, სრულად ერანსა, ხორასანსა და ადირ ბეჟანზე, გივის ამილხვარის ყულარღარობა და დიდი პატივი. ყოველმა სულმან გავიხარეთ. მამა ჩემიც გარდმოვიდა იმერეთიდამ და წამოველით ქალაქს. მე ჩაჩიკაანთ დამპატიჟეს, ერთს წელიწადს იქ იყო ჩემი კერმობა. მე ხან იქ ვიყავ, ხან აქ ვიყავ. ბატონს დედოფალთან ვიყავი უფროსი ერთი და იქ ვემსახურებოდი. წერით. კითხვით. აბდულა ბეგს დაუმარცხდა. და ტფილისის ციხის თათარნი უკუ დადგნენ. ციხე აკლიტეს, ინება ყოვლად ძლიერმან ღმერთმან და დიდის ცდით ტფილისის ციხე აიღო მეფემ ერეკლე ულე, ივლისს კბ.

ადილ შაჰს დაუმარცხა თავისმა ძმამ იბრეიმ შაჰმა იქ ქართველ ბატონი და ქართველნი დაიმარცხნეს თორემ საქონელი ყველას ბევრი ჰქონდა. ადილ შაჰ გაიქცა, თეირანს მივიდა, დაიჭირეს, მოსცეს და თვალები დასთხარა: იბრეიმ შაჰ დასჯდა ყეენად. ადილ შაჰს თვალები დასთხარა, თითონ მობძანდა თავრიზს. იქიდგან ხოჯა წარმოგზავნა, ტყვეები მოკრიფეს. მერმე ჯარი ითხოვა, ასი ნოქარი წააყვანინა და მეფე თეიმურაზ გამოუშვა. მობძანდა, მარამ რა სიხარული გაეწყობოდა მაშინდელს ჩუენს სიხარულს, დიდი და პატარა გახარებული ვიყავით, იბრეიმ შაჰ დაუმარცხდა, გაფუჭდა და მოკვდა ისიცა. გივი ამილხვარი წამობძანებულიყო დიდის დიდებით, დიდის საქონლით და ასან მირზა ათის ქართველის ნოქრით თან წამოეტანა. მოვიდნენ მირტაშენს, მე იქ დავხვდი, ჩემი მომნათლავი ვახტანგ წინ მოეგება, მეც იქ მაახლა, დიად ტკბილად მნახა. ჩამოვედით ქალაქს, ღ̃თის მოწყალებამ არ დამაგდო, დიად ველის მომართვას და წყალობას მიქმნიდა დღითი დღე გივი ამილხვარი, რომელიც შაჰყულიხანს უწოდდენ, ყულხაღასობის სიდიდეში, ეს სახელი დაერთო.

ბატონებმა დიდის პატივით მიიღეს. მრავალი მიართვა ბატონსაცა, და სხ̃ათაცა. ცოტას ხანს შემდეგ ქალაქის მოურაობა მისცეს. იყო თავისებურის დიდებით და კეთილის ქცევით. მერმე ქაშვეთი მოიგონა, ააშენა დიდებულის მთავარ მოწამის გიორგის სახელზედ. იქივ შეუძლოდ გახდა და მუნვე მიიცვალა, და თავისი

განსაგებელი ყოველივე სიცოცხლითვე განაგო, და აღესრულა. ღმერთმან შეიწყალოს და განუსვენოს. დიად დიდებული და პატიოსანი კაცი ბძანდებოდა და ჩემი დიდად მობრალული და მწყალობელი, ბანგთას გამო.

მენება, შვილნო ჩემნო, არა რა სხჳსა, შემერივა ამა ცხოვრებისა ჩემისა წერისათჳს, მარა ამბავმა მოიღო ესე ამა პატრონისა კაცისა, ვინათგან დასაბამნი იგინი იყვნენ ამ სოფლისა ჩემის გამლების მიზეზნი და ქცევისა, და წესისა მასწავებელნი და თჳთ იოქმის, ამ საქმის ფერხ შედგმის მიზეზნი. იმისი ამბავი მოკლედ მიგითხარ, თორემ კარგა ხანს ბძანდებოდენ.

და მრავალი კეთილი მოიღეს ჩემსედა: ესე ანდერძი ჩემი და ცხოვრებისა ჩემისა ცნობა თქუენ, შვილთა ჩემთათჳს, მინდა ამისთჳს, რომ ძალითა ქრისტესითა რაც შრომა მიძს, და რაც ჭირი მინახავს ჩემის მამულების შეკრებაზე და სიმძლით შეკრებაზე, არ თუ ან ძალით, ან შილთახით, ან ქრთამით, ან დაჯაბნით ვისამე ვიმძლავრე, არამედ თვითოეულად ნიშნეულად წარვიწერ ჭეშმარიტსა და მოხმარებისა თქუენ იცით.

სხვისა ცხოვრებისა არა რა მინდა წარმორევა არცა დიდისა, და არცა მცირისა. ამად რომე მე ერთი ცოდვილი კაცი და ლიტონი ერის კაცი ვარ. რად ვინმე განვიკითხო და რად ვინმე ქების მეტყველ მიწოდოს. არა მნებავს, ესე მინებს, რომელ ჩემის დიდის გარჯით და მრავლის ჭირით ნასყიდი მამულები ჩემს შვილებს დაგრჩესთ და თქუენ კეთილად მოიხმარებდეთ ეგრეთ, რო-

გორც გნებავს ქუემორე დაწერად, და ესეცა, რომელ ერთს წილს ჩემთჳს გარდაუტევებდეთ, შვილნი და შვილის-შვილნი. ამას ნუ დაივიწყებთ, რომე ერთი წილი ჩემის სულისათჳს არ მოიხმარებოდეს. სხუა ყოველი ღმერთმან თქუენ კეთილად მოგახმაროსთ თუ ჩემის სიტყვის დამჯერებელნი იყვნეთ, და რაც ქუემორე აღვწერო, იმისი აღმასრულებელნი ესენი, რომელ თითოეულად აღმიწერია. არა მნებდა ჭეშმარიტად, ამისათჳს რომე მე ერთი ზეშთა მჩენი გული მქონდა და სხვა კაცი ვიყავ. უგუნურებით და თავხედობით, თჳსა რა მქონდა საზვაებელი, თუ არ ბრალი მრავალი ჩემისა დამბადებელისა და ღვთისა წინაშე. და ასე განქიქება რომე დავწერე ჩემის თავისა და იწროებაში ყოფა და მრავალს სიღარიბეში გაზდა და ვალისაგან მარადის დაჩაგვრა გულისა და სპარსთ შიშით აკლდამებში ორსა და სამს თვეს დამალვა, ესენი ყველა სარგებელად თქუენდა აღვსწერე, პირველად იმისთჳს, რომე მადლობით მივითვალე, ღმერთმან ჩემთჳს აწ განადღევა და ბრწყინვალე დრომ მომცა, თუ თქუენც თქუენზედ მოსრულს ჭირს მადლობით მიითვალავთ, ან ჭირსა და ან ავად ყოფას, და სნეულებას, ღმერთი ესე განგანათლებსთ, როგორც მე შევიქენ დასაბამი ჩემის სახლის აღშენებისა, მამულის შოვნისა, ადგილისა, სახლობისა და გვარისა, თქუენც უმეტესს მოგცემსთ.

მეორედ ამისათჳს აღვწერე რომე, თქუენ რომ ღვთის მოწყალებით ამისთანას იწროებაში არ შობილხართ და არც ამისთანას სიღარიბეში დამიზდიხართ,

და ამას იქით ღმერთმან იზრუნოს წყალობით თქვენ-თჳს. თქვენ მადლობა უნდა მისცეთ ღმერთსა თაყვანის ცემით, დღეში სამ გზის და ოთხ გზის, რომე, პაპა ჩვენი ვინ იყო, მამა ჩვენი რას სიგლახაკით აღზდილა, მერე ამდენს გარჯილა რომ ჩვენ ისე დაუზდივართ. ეს მამული უშოვნია, ეს სახლი, ეს ადგილი, და ეს გვარი. ამაზედ დიდი მადლობა გიღირსთ ღ̃თისადმი.

და მესამედ ამისთჳს რომე, თუ ვინმე უკუნურებით ინებოს თქმა რასამე ჩემის ნასყიდის მამულებისა, თითოეულად აღმიწერია, რომელი რომელის დროს, რას ქამში, და როგორ სიმართლით, ჭეშმარიტად, დიდის ვედრებით მომსყიდველისაგან, თორემ ასეთი კაცი არ ვიყავ, ან წამერთმევინა ვისთვისმე, ან ქრთამად გამომერთმევინა, და ან იმისი დამრჩომოდა რამე, ან ბატონისა მიმეცა რამე, ან მამისა, ან დედისა, ან საყდრისა შემოსავალი ჩემს ქამში რამ მრგებოდეს, ღმერთმან ნუ ქნას, თორემ ეს ასეთი დრო იყო, ერთი აბაზის სარჩოვარზედ ქართველს ბატონს სამს არზას მიართმევდენ ხოლმე. მერმე ოთხი მღივანბეგი ზის, მუდამ სამართალში და დღითი დღე მიუწოდენ მანდატურნი მოჩივართა და ერთხელ მეც მიჩივლებდა ვინმე. და აწ შემდგომმან ცხად ჰყოს ყოველი, დასაწყისით და დაბადებით ჩემით, ვიდრე აქამდე, რომე ორმეოცსა წელიწადსა ვმეწლეობ, ჩემთჳს კაცს არ უჩივლია და ამას იქით ღ̃თის ნება იყავნ.

ჟლტ: იოანე ჩემი ძმა დაიბადა. მაშინ ვიყავ მე წლისა ოცდა ორისა დ მესამესა ვმეწლეობდი. დ ვინათგან მსახურებასა შინა მეფისა, დ დედოფლისა ვიყავ მარადის დ არღარა იქნებოდა, ჩემი იქიდგან წამოსვლა ჯერეთ ესე იყო, პირველ ჩემი ნასყიდობა რომ ნიკოლაოზ ქავთარის შვილმა კარგა სოფელი დამიგირავა, მერმე მოვალეს დიაღ შეეწუხებინა. ზალდასტანის შვილისა მართებოდა დ დიაღ უპატიურად ეპყრობოდა, რომ დაჭერა დ სასლიდამ გამოუშვებლობის ანბავიც მომივიდა. ყიზლარა შვილი პაპა გამოეგზავნა, შემომხვეწნოდა, ზოგი ემართა, ზოგი კიდევ გამომართვა, მეც სარგებელით იოსებ მღჳდელისაგან ვისესხე ზოგი, დ უფროსი ერთი, ღმერთმან განუსვენოს, ბანგუას ბოძებული ფულები მქონდა, ის მივეც დ ვიყიდე ახალშენი სამი, საქმრო: აღვსია შვილი თავისის მამულით, თამაზა შვილი თავისის მამულით; ისპუას მამული, დ ქოჩორა შვილი თამაზა, რომელიც ყიზილბაშში მყოფებს. ესენი ვიყიდე ამ წელიწადს. . . ქრისტეს აქეთ ჩღნა ვიყავ წლისა ჳდ, თვე იყო ნოემბერი კზ. სიგელი მიქელ თეოდორტეს შვილს დაწერინა, სარდარსა მისკარბაშს დ სხუათ მრავალთ დამიბეჭდინა. კაცნი მომაბარა. იმ წელიწადს ღალა მე ავიღევ, მამული დამრჩა დ არის ჩემი ძალითა ღუთისათა. მაგრამ ჭეშმარიტად, დედოფლის ანახანუმისაგან დასტური ვითხოვე: შენს სახასოს მამულს ვსყიდულობ. რომელიც ამოწყვეტილის მანუჩარის შვილის ზაზას მამული ქავთარიანთა-

თჳს რომ გიბოძებია ნიკოლაოზს ახალშენი რგებია და ის ჭეიდის მეთქი. და დედოფალს ებძანა: გრწამდესო, თუ შაჭეულიხან არ შემოსილოდათ შუა, და უწინ შენ გეთხოა, შენ მოგცემდი, ახლა რადგან სყიდულობ დასტური მომიცია, იყიდეო, და მაშინ ვიყიდე. ბანუას მოცემული თეთრი მიმიცია. სხუა არა რეულარა და იმისგან მოცემული ფუძები სხვაცა მქონდა, რომელიც წლითი წლად მესამმარებოდა დიდად და შემეწეოდა და მიზეზი იგი შეიქმნა ჩემისა კეთილად ქცევისა. ამ წელიწადს მაახლა მამა ჩემმა ბატონს დედოფალს. თვითან რომ ერთი შვილი დაიგულა, მე დედოფალს მაახლ და ნება უფროსლა ჩემი იყო. ათანასი ტფილელს სწყენოდა და არა ებძანარა, შემდგომად მიველ, მდაბლად, შენდობა მოვითხოვე და შენდობით განმიტევა და კურთხევა მოიღო ჩემზედ. ვიყავ ბატონს დედოფალთან და მდივნობის რიგზე ვემსახურებოდი. ყოველი წიგნი ჩემგან იწერებოდა მოკითხვისა თუ მაგვარი დიდი სიგელი, თუ რაც ან მეფეს ენებებოდა და ან დედოფალს, მე ვიყავ მწერალი, და ესე იქმნა ჩემდა ცხოვრებად.

~~ჟლთ~~, თებერვალს, ~~ია~~ აგრისზე დაგვიმარცხდა. ~~ამ~~ წელიწადს დაუმარცხდათ ბატონებს ჭაჭი ჩალაბისაგან აგირს. დიდ მარხვის აღების ღამეები იყო. მცხეთას მიბძანდა დედოფალი. დილომს რომ მიველით ~~ჟლთ~~: ქრისტეს აქეთ, ~~ჩლნა~~, ფებერვალს ჩაჩიკა შვილის ქალი მომიკვდა. მაშინ ვიყავ წლისა კდ და რაღა განვაგრძო ჩემი მქისი ამბავი. ჯერეთ ყმაწვილი ვიყავ და დიდად სოფ-

ლის შემსჭვალული. ცხენისა, იარაღისა, თოფისა, კ[illegible]მისა ტანისამოსის მოყვარული, და კელ მეწევნილი ამაებისა ყოვლისა ფერით. მერმე ეს განჩინება გამოჩნდა: ან ბერად უნდა ვყოფილიყავ ან სიკვდილამდე დიაკონად და მე ამის მეტი არც ერთი შემეძლო. იმ ჟამში ეშმაკის ბირებით ჩემმა გონებამ ეს მირჩივა და ასე მომიჴდა რომ ერის კაც ვიქმენ. ვინ უწყის, ეგების ბერობაშიაც ჩემი უდებება და გემოთ მოყვარება არ მომეკლო და ანგელოზთ სახე შემეგინებინა და უმკირესი სასჯელი მომეგო თავისა ჩემისათჳს. მცირეს ხანს ანტონი კათოლიკოსი მაწუხებდა, მერმე მანც შენდობა მოიღო, და ვიყავ მეფეთ მსახურებაში მდივნების რიგზე წერით, კითხვით, თვინიერ სამართლისა და სამდივნოს სარგოსა: შიგნით რაც საწერი და საკითხავი იყო, მე აღვასრულებდი. გარნა საშინელი და ზარის სა[illegible]ელი ამბავი ჯერეთაც ცოდვისა ჩემისა განუშორებლობამან ხედავ, ვითარ მსუბუქად აღმაწერინა, დიდება შენდა, ღმერთო, რომელ ესოდენ სულ გრძელ იქმენ ჩემზედა. რომ მსახური წმიდისა ეკკლესიისა ვიქმენ მსახურ: ცხენისა, იარაღისა, თოფისა, კ[illegible]მისა, და სხვისა-და სხვისა საწუთოსა საქმისა განფრთხილებისა. ამისათჳს რომე სულგრძელ იქმენ რა მოკავგო შენ, ღმერთო ჩემო, გარნა მადლობა და თაყვანის ცემა ძვირ უხსენებელობათა შენთა.

მომართმადა გონება მონაზონებისა, გარნა რა წარვდევ საქმედ დამიმძიმდა და ესე უწყოდეთ: სიტყვით და აზრით ყოველი ითქმის, მაგრამ რა საქმე მიადგება, იქ არის კაცობა: ესე კმა გეყოსთ.

ქრისტეს აქეთ ჩღნგ, უმა. ამ წელს ვიყავ, წლისა ოცდა ხუთისა, ვემსახურებდი პალატასა მეფისასა. უწყის სახიერებამან ღვთისამან, შვილნო ჩემნო, ეგოდენ ჟამს ვემსახურე, არცა სადა თვალი ბოროტება მიაქნიეს ჩემის ჴელმწიფის სახლსა შინა, შიმუნვართა თანა თუ უმცირეთა მათთა, არცა ლალვა მიყოფიეს და შფოთი პატრონისა ჩემისა სახლსა შინა, არცა ბატონისათჳს ენა ვისიმე მიმიტანია, არცა პატრონისა საიდუმლო სხვისათჳს მითხრობია, ჭეშმარიტად გრწმენეს, არცა ბატონის დასაკლები რამ მიწვრთია გულსა ჩემსა, არც დამთვრალვარ ბატონის ჩემის სახლში, ან მეჯლისში, არც სხვაგან და ჩემს სახლშიც არ მახსომს რომ დავმთვრალიყო, ან ბატონების ჩემის და ჩემს ამხანაგს მთვრალი ვენახო: არც არავის თავდებად დავდგომივარ, და არც ჩემს ჟამში ეტმარი მითამაშია თეთრზედ.

ვიყავ მეუდროდ, უშფოთველად და იტყოდა კაცი, ამპარტავანი არისო, და ვიყავცა ჭეშმარიტად. მარა მე გული ისე მეტყოდა დაჯღოთუ ეშმაკის ბირება არის: შენთჳს იყავ, ცრუს სიტყვას ნუ მიჰყვები, უბრალოს კაცს ჭმას რად გასცემ, ჩხუბი არ მოგივიდეს, ცუდ კაცს ესე სჭირს, თუ საჩხუბრად კაცი იშოვა, დიდი დიდება ჰგონია თავისა თვისისათჳს. და ეგრეც არ ვიყავ რომ მცირედი წყრილიც არ მსხოვნებოდა, და თითქმის ეს უფრო რომ სამეუფო სჯული დიად ვრცელად ისმინებოდა მაშინ ქართველთაგან ბატონის სამსახური, ბატონის სასახლეში ყოფნა როგორც ეკკლესიაში, ბატონის სა-

იდუმლო ვითარცა აღსრულება და ამას დღითი დღე გან-
ვიახლებენ. ყოველნი მოხუცებულნი უმეცარნი წერი-
ლისანი, რომელთაც ძველთა მეფეთა მსახურებასა შინა
ესწავათ ესე ვითარნი სჯულნი, და არა არს ბოროტ
უკეთუ სხვაცა შესმინა, რაჲცა საზმარ არს წერილთა
მეცნიერთა კაცთაგან. წერილთა გამოძიებითა ესე ვით-
არნი რა ქცევანი მოვიგენ ძალითა ქრისტესითა და ხე-
დვდენ მეფე ღუთის მოყვარე და დედოფალი უფროსღა
გამომეძიებელი საქმეთა ჩემთა და განმხილველი. იცოდ-
ნენ რომე წელიწადი ასე წარივლიდა, ერთის თუმნისა
ჩემს სახელზედ არა მოგებულიყო რა, და არა მომე-
ცემოდარა ცხენისა, კაცისა და თჳთ ჩემი სარჯი ყო-
ველივე იყო. მიბძანებდენ, პატივით შეწყნარებასა და
სარჩოს ბოძებისა გამორჩევასა. მე სადედოფლოს მდივ-
ნობის თხოვა აღვზრჩიე, ამისთჳს, რომე მეუდროებით
ყოფა აღმერჩია დღეთა ჩემთა მრავლისა შფოთისა შინა
ყოფასა: ეცადნენ, მარაყარან მდივანმა დიაღ თავს გა-
მოიდვა, მოხუცებული კაცი იყო, პატივს სდებდენ. ძა-
ლითკი ვერ წაართვეს და მოციქული მოუგზავნა დედო-
ფალმა, პაპის ჩემის წილს მდივნობას ამას მივცემ, შენ
რა გრჯისო, დიაღ შემოსვეწოდა და შემოვედრებოდა, რომ
მდივნობა შანაოზ მეფეს შვილებმა გამიყვეს თქუენ ნუ-
ღარ გამეყოფთო, ~~მონახეთ~~ ხუცობა, თქუენს ბიძას გვის
ჭქონდა, ის უბოძეთო. ეს რომ მეფეს სმენოდა, დიაღ
იამებოდა, რომ იესეს თუ სახელს დავარქმევ და იმ სა-
ხელით დავაყენებ, სარჩოსი მე ვიციო. ზაქარია მოძ-

ღვარი ებრძებინათ და ანასტასია და მოლარეთ უხუცო-ბა ებრძათ. მე მაშინ გივის ამილახვარის უკითხავი არა შემეძლორა. რა მეფეთ სამსახურს მოვრჩებოდი, ცოლი არა მყავდა, შვილი და იქ იმათთან ვიყავ, დღე და ღამე. გივმა ამილახვარმა და ბანდუამ უფრო შორს დაიჭირეს, დედოფლის მოლარეთ უხუცობა მავდენი არა არისრა და მჯასლეებში ყოფა და იმათი სალაროში შემოსვლა და მოლარობა დიად არ ინება.

ასე მიბძანა: ჩემს სალაროში შედი, ჩემი თეთრი გამოიტანე, დახარჯე რამდენიც გინდა და მართებული სახელო იშოვეო. ამათის ბძანებით, მოძღვრის პირით უარი მოვახსენე. მერმე საკუთრად მეფეს ებრძანა სახელი ესე დაირქვი და მე ვიცი როგორც გაგამდიდრებინებო. მოძღვარმა და ანასტასიამ ამილახვართან აღარ მიმიშვეს, წამიყვანეს და მუხლს მაკოცნინეს. არ მინდოდა ჭეშმარიტად და ის დღე დაიწყევლოს. რა ბოროტის მომატყუებელი წყალობა იყო. სალათი მიბოძეს, მიველ, ამილახვარი სადილად მობძანდებოდა. რომ შეველ და მოვახსენე, არ მომეშვნეს, დავმორჩილდი, თაყვანი ვეც ამილახვარად, ჭეშმარიტად ასე იყო: ბძანა, შენისთანებს ემაწვილს აგრე მოატყუებენო.

მამცეს კლიტე ხანდუკისა და მომაბარეს თუ რამ მოლარეთ ხუცის მოსაბარებელი იყო. სადედოფლო საქალო იარაღი ყველა უნდა დედაკაცს მოლარეს ებარის, და სხვა რაც ან დაუჭრელი ფარჩა ან მძიმე იარაღი ცხენისა ან თეთრი ან ფლური ან სხვა რამ შემოსა-

ჯალი, ყველა მოლარეთ ხუცესს ებარება. და შიგნით სალაროს კარის კლიტე, რომელიც მახლე მოლარე არის, იმას ებარა: მაშინ იყო მოლარედ თვალსამოთსისა, გამდელი. ყოველსა ჟამსა მართებულად ვემსახურებდი, და შემოსავალი არა მქონდარა. აღარცა გივმა ამილახორმა მიბოძა ამ დღეს უკან, და ვიყავ მმადლობელი ღვთისა.

უმგ. ვიყავ წლისა ოცდა შვიდისა. წინ ვენახი ვიყიდე ისე რომ პირველ სულხან მდივანს ეყიდა რომელიმე ზაზუნა შვილისაგან მისი წილი, რომელიმე თაყაშვილისაგან მისი წილი, რომელიმე გურიელისაგან, რომელიც ზაზუნას შვილის მამულზედ იდგა, და რომელიმე გლეხთაგან. სულხან მდივნის ჯალაბს საქმე გასჭირებოდა, ჩამოვიდა, სიგლები ჩამომიტანა, ჭეშმარიტად ორჯერ და მომსყიდა. მე, უთსარ ღოლოვნელს ბერუას ვკითხავ და ვიყიდი მეთქი, ბერუას ვკითხე, დიაღ მიქო და მომიწონა, წავიდა და თვითან იყიდა. მერმე მე მომყიდა. ის სიგლებიც კელთ მომცა. სტეფანე კოტეტის შვილს სიგელი თვითან და იმისმა ძმებმა დამიწერინეს და ჩემი არის მალითა ქრისტესითა: ერთი ვენახი და ცხრა რამ მიწები, ღოლოვნელის ბერუასი არის, ლარამე დავითისაგან მისყიდული, სხვა ჩემი არის, ნახევარი საკომლო იქნება.

უმგ ქრისტეს აქეთ ჩღნე ქრისტესშობის თვეს ი, ინებეს მეფემან და დედოფალმან და მიბმანეს; მეუღლის მომიება, და ღვთის ნება იქმნა, აფხაზის შვილის

დავითის ქალი მითხოვს, რომელიც ქისიყის მოურავის ქალთან მისცემოდა. მაშინ ვიყავ წლისა ოცდა შვიდისა, გავგზავნეთ საქორწილო დ̃ ამ ჟამს ეკკლესიამან შეგვაუღლნა. შენდობითა საქართველოს პატრიარქისა დ̃ ეპისკოპოსთა დ̃ მოძღვართა ჩუენთათა დ̃ ამავ თვეს კათალიკოზის ანტონისზე შეკრება მღუდელთ მთავართა.

## ღარიბი ქოხის მებაშმაკე.

იყო კვირა დღე. გაფანტულს სოფლის ეკკლესიებში, დგებოდა წირვა; ყოველის მხრით მოისმოდა ზარების რეკის ხმა; ყოველს გზაზედ სავსენი იყვნენ წირვაზედ მიმავალის ხალხითა, — იმათში ზოგნი მოხუცებული კაცები და დედაკაცები იყვნენ; ზოგნი ყმაწვილ-კაცები და ზოგნი გასათხოვარი ქალები, რომელნიცა მიემურებოდნენ, როგორც ზემოთა ვსთქვი ეკკლესიისაკენ, სადაცა უნდა მოესმინათ საღმრთო ღაღადების ხმა, ყველანი ერთობ მორთულნი იყვნენ; დედანი, დედიდეები, ერთის სიტყვით ყოველნი მონათესავენი, რომელთაცა ეცვათ ის გვირგვინის-ქვეში ტანისამოსი, რომელნიცა სცმოდათ ჯვარის წერის დროს და შემდგომს შეენახათ მაგრათ დაკეტილს ზანდუკში იმ აზრით, რომ ჩაეცვათ ხოლმე ამ გვარ დღესასწაულ დღესა. ამ მლოცველს ხალხს ყველას ჴელში ეჭირა ლოცვის წიგნები, რომელნიცა განშვენებულნი იყვნენ წითელის ლენტებით; ზოგი ერთა წიგნებს კიდევ დაკარგული ჰქონდა ვერცხლი და მით ბჭყვრიალებდნენ მშვენიერი მზის შუქზედ; იყვნენ იმისთანანიც, რომელთაც ეს ლოცვის წიგნები გაემშვენებინათ ყვავილებით, უფრო მეტად წითელის სურნელიან მისაკით. ეტყობოდა, ეს კეთილნი სოფლელნი მიელ-

ტოდნენ მხიარულს დღესასწაულს დღესა. მართლადაც, უკეთესი დღესასწაული დღე არ იქნება კეთილ სულოვან სოფლელებისათვის, როგორც დღესასწაული დღე არის, კვირა, რომელს დღესაც ექვსი დღის მუშაობის შემდგომს, მოსვენებას იწყობენ ლოცვით.

ერთის გზითგან, რამდენიმე ბიჯზედ მოშორებით კაკლის ხეების შორის, იდგა ღარიბი ქოხი, ნახევრობამდინ დაცემული, რომლის ფანჯრის წინ იდგა მოხუცებული კაცი და მოწყენილის სახით უყურებდა მხიარულად ეკკლესისკენ მიმავალ სოფლელებს.

დიდ ხანს ადევნებდა იმათ თვალსა, ბოლოს იმათში უკანასკნელი შევიდა ეკკლესიის კარებში. ეს კარები რა მიიხურეს, ზარის რეკის ხმაც რა შესწყდა, და ერთის წამის შემდგომს ისმოდა მგალობელთა ღაღადების ხმა, რომლით აქებდნენ ყოვლად შემოქმედსა ღმერთსა. ამ მოხუცებულმა კაცმა დაიხედა თავის დაგლეჯილ და დაფლეთილ ტანისამოსზედ, ცრემლები გადმოსცვივდნენ დაღმეჭილ ლოყებზედ; იმან მოიწმინდა ჩუმად დაგლეჯილ კალთით, შემდგომ შეხედა თავის ცოლს, რომელიც მაღლა . . ხმით ტიროდა უბრალო სკამზედ მჯდომარე, ის იყო დაყრდნობილი ერთს დამსხვრეულს უბრალო სტოლზედ, და მიეფარა თვალებზედ ისეთი დაკონკებული თავისი კაბის კალთა, რომ ერთი მისხალი მრთელი ნაჭერი არ მოიპოებოდა იმ კაბაზედ.

ნუ ტირი ბერიტა, უთხრა მოხუცებულმა კაცმა; რა კარგია, რომ აგრე ტირილით თავს ისუსტებ? მაგითი

შენ აწუხებ ჩუჱნსა უფალსა ღმერთსა. იმასა სურს, რომ ჩუჱნ მოთმინებით ავიტანოთ ჩუჱნზედ მოვლინებული გამოცდილება. იმან უწყის, რომ სიზარმაცით არა ვსხედვართ ამ კვირა დღეს შინა, როდესაც რომ ყველა ქრისტიანენი, მიუწოდებენ იმის წმინდა ტაძარში. იმან უწყის, რომ ჩუჱნ გვრცხვენიან გავიდეთ ხალხში, ამ დაგლეჯილ და დაფლეთილ ტანისამოსით, რომელიცა ვერ გვიფარავს ტანის სიტიტვლესა. იყო დრო ბერიტა, როდესაც რომ არც ერთს კვირას დღეს არ მოვცდებოდი წირვასა, როდესაც ეკკლესია მაშინ უფრო შორს იყო ჩუჱნგან. გვიყვარდა მოგვესმინა მაცხოვარის წმინდა სიტყვები. ამისათჳს ჩუჱნი სვინიდისი წმინდაა და დამშვიდებული.—ახლა? ახლა გვეწვია სასტიკი სიღარიბე, რა ვქნათ საყუარელო მეგობარო! უფალი ღმერთი, გულთამხილავი, სჩხრეკს ყოველს ჩუჱნი გულის სიღრმეში საიდუმლოსა. მან უწყის, რომ გული ჩუჱნი მას ემორჩილება ამ ღატაკს ქოხშიაცა იმავე სახით, რა სახითაცა ვემორჩილებოდით იმის წმინდა ტასარში.—ნუ ტირი ბერიტა—ცრემლებში რა სარგებლობასა ვჰპოვებთ; ისევე ისა სჯობია, მომიმებნო ჩემი ლოცვის წიგნები. ხომ იცი, მე წიგნს ღჳდელზედ ნაკლებ არა ვკითხულობ,-ჩუჱნ ერთად, ამ ღარიბს ქოხში, ვიგალობოთ ჵსალმუნი, როგორცა გალობენ ეკკლესიაში მგალობლები.

ბერიტა წამოდგა, ჩამოიღო თახჩითგან ლოცვის წიგნი, რომელსაცა ედა გაცვეთილი ჰქონდა და მისცა მარსელსა.

»მე მზათა ვარ შენთან ერთად ვილოცო, უთხრა ცოლმა,-მაგრამ ჰსალმუნის გალობა კიარ შემიძლიან საყვარელო მარსელ,-ამისათჳს რომ გული მეთუთქება, რა უყურებ მხიარულად ეკკლესიაში მიმავალს ხალხსა, თავიანთი შვილებით და შვილის შვილებით.

— ახალი ტანისამოსიც რომ აცვიათ, განა მერტა? განა რომ ეს უფრო გაწუხებს? ოჰ, ნეტავი იმ დღეს, როდესაც რომ შენის ქორწილის ტანისამოსით მოხვი-დოდი წირვაზედ,-ის ტანისამოსიც სხჳათა შორის და-გეწო! რა ვქნათ, მადლობა ღმერთსა, აგრე სურდა ღმერთსა. შეიძლებოდა ჩჳენც დავმწვარიყავით, მაგრამ იმან შეგვიბრალა.

»შეგვიბრალა ამისათჳს, რომ სიღარიბეში მომკვდარ-ვიყავით. ახ, ათასჯერ უკეთესი იქნებოდა მომკვდარვი-ყავი მაშინ, როდესაც მოგვიკვდა ქალი ჟორჟეტა.

— მე არ მოვიფიქრებდი ბერტა, შენ მაგას იტ-ყოდი. შენც რომ მამკვდარიყავი, რაღა მეშველებოდა მე საწყალს ღარიბს მოხუცებულს კაცსა. ერთი შენა ხარ ჩემი იმედი ქჳეყანაზედ.

»მართალს ანბობ მარსელ, უთხრა ცოლმა და მია-წოდა ჴელი ნიშნად სიყვარულისა; მე დამნაშავე ვარ შენთან, რომ ასე უფიქრელად წარმოვსთქვი ეს სიტყვა. შენთან რომ ვარ, მწუხარება მიმსუბუქდება, მაგრამ ხომ იცი ჩჳენი საჭიროება, ტანისამოსი სრულებით აღარა მაქჳს და ჰურიც მხოლოდ ერთის დღის საჭმელი და გვაქვს?—

— უნდა ვიქონიოთ იმედი ჯერ მღუდლისა და შემდგომს კეთილის კაცებისა. ხვალ კვირა არ არის და მივუოთ ჴელი ისევე ჩუენს მუშაობასა. აი ოთხი წყვილი ბაშმაკი—ამათ დასაკერებელს ავიღებ ხვალ ხუთს შაურს. შენი ჯარა? განა ისიც მოიშალა? ღმერთმა გამოგვიხსნა შიმშილით სიკუდილისაგან, თუმცა ჩუენ აუცილებლივ უნდა გადაგუხდენოდა; დღეს დღევანდლამდინ ჩუენ მოწყალება არავისთჳს არ გვითხოვნია, უნდა გამოტყხით გითხრა, რომ თხოვნას და გლახაკობას სიკვდილი მირჩევნია.

»ოხ! ვინ მიხვდება იმას, რაც წინ მოგველის, სთქუა ბერიტამ რა დაიწყო კიდევ ტირილი. ვინ იცის კიდევ, თავს რა გადაგვხდება? ვინ იფიქრებდა, რომ ჩუენი შვილი გადაიცვლებოდა ლაზარეთში?

— მერე ისიც ჩუენ ℹინაბერტა! აი საშინელი უბედურება! მაგრამ რაც შეეხება ლაზარეთსა, განა ცოტანი ისოცებიან იქა! რამდენი კეთილი კაცი, ჴელმწიფის ნამსახური, უხელო და უფეხონი ისოცებიან იქა? განა ვინც ლაზარეთში მოკვდება, ის სასუფეველში ვეღარ შევა? არა ჩემო მეგობარო ბერიტა, დარწმუნებული ვარ შენც ისე გრწამს როგორც მე, რომ შენი შვილები შერიცხულ არიან წმინდანებში, მრავალ მოწყალის ჩუენის შემოქმედისაგან. ისინი მიიღო ღმერთმან იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არ იცნობდა იმათი გული არა ვითარსა ბოროტსა, იმათი სული წმინდა არის იმ გვარად, როგორც დღევანდელი მოკამკამე

წმინდა დღე. თავი დავანებოთ ტირილსა, ამითი ჩვენ ვაწუხებთ ღმერთსა. ყური დამიგდე, მე ვიწყობ ლოცვების კითხვასა.

ბერიტამ ამოიოხრა და არა მიუგორა. საწყალი და საცოდავი მშობელი დედა ჯერ კიდევ არ შეჩვეულიყო იმ ფიქრსა, რომ იმასა ჰყოლოდნენ ორი ჩინებულნი შვილები და ახლა აღარა ჰყვანდნენ; რომ იმას უნდა გაეტარებინა თავისი მხცოვანება სიღატაკეში, და იქნება საშინელს მარტოობაშიაცა. მარსელი, ნაკლებ არა სწუხდა თავის ცოლზედ; მაგრამ გარჩევა დიდია მწუხარებისა და დედაკაცისა შორის. კაცი სწუხს ჩუმათ და იშვიათად გამოსთქვამს სიტყვათ. კაცი იტანჯება და ჩუმათ არის; მაგრამ დედაკაცი თავის გულის მწუხარებას გამოსთქვამს ცრემლებით და ჩივილით, ეს უმსუბუქებს გულის ტანჯვასა, აი რისათვისა ღუპავს ზოგჯერ მწუხარება კაცსა და უდროოთ ჰკლავს. როგორც უნდა ყოფილიყო. მაინც მარსელი ცოცხლებდა და არ მამკვდარა მწუხარებით, რომლითაც იყო შემსჭვალული ქმარი უფრო მეტად ცოლზედ. ყოვლის ღონის მიებითა ცდილობდა, როცა ცოლს შვილები მოაგონდებოდნენ, ამას გაერთო სხვა საგანზედ ლაპარაკით და გაემხიარულებინა როგორმე, რომ აღრინდელი მხიარული ცხოვრების მოგონება დაევიწყებინა.

იმათს შვილს ლიუდოვიკს ძრიელი ნიჭი ჰქონდა დურგლობისა. მარსელმა მიაბარა ის, თორმეტის წლისა რომ გახდა, ახლოს ქალაქში ერთს კარგს დურგალ-

სა. ისა სწავლობდა ჩინებულად, მალე ხვდებოდა საქმეს. უცებ ავად გახდა საშიშარის ჲ შესაყარის ავათმყოფობითა. მარსელს ურჩიეს მიეცა ლაზარეთში, სადაც რამდენიმე დღის შემდგომს მოკჳდა. ბერიტას რამდენიც ეს ლაზარეთი მოაგონდებოდა, ტანში ჟრუანტელს დაასხავდა. ახ! მშობლიური გული ყოველთჳს იმას ეუბნებოდა, ლაზარეთში რომ არ მიმეცა, მომლელი კარგი ვყოლებოდი ჲ არ მომიკვდებოდა, თვალებს მაინც დაუხუჭავდი უკანასკნელ დღესაო.

იმათ დარჩათ კიდევ ერთი ქალი, ჭკვიანი, კეთილის ყოფაქცევისა, მშვენიერი სახისა. გაათხოვეს კარგს კაცზედ, ისიცარი რომ ჰყოლოდათ, ლუდოვიკი გაუცოცხლდებოდათ, მაგრამ უძლობელმა ჲ შეუბრალებელმა სიკჳდილმა ესეც წაართო, ზეციური ცეცხლი ჩამოვარდა იმათ ქოხზედ: მოსავლი იმათი ქონება, სრულებით პური რაც რამ შეკრიბეს იმ წელიწადს, მთლად დაეწოთ. ჟორჟეტა, იმათი ქალი, მოკვდა რამდენი დღის შემდგომს, შიშისაგან. დედა ჲ მამა მოხუცების დროს დარჩნენ ობლათ. ოჰ, საშინელებავ, ეწიათ ის უბედურება, რომ ამათზედ წინ შვილები დაიხოცნენ. იმ უბედურების შემდგომს, მოხვდა შვიდი წლის ომი, სხჳათა შორის, ესენიც დაზარალდნენ; უნდა მიეცათ ბინა სალდათისათჳს, მიეცათ მტრისათჳს გადასახადი; იმათი მინდორი სრულებით მტერმა აოხრა, პირუტყვები დასტაცეს; დაედვათ გადაუხდელი ვალი, რომლის მიზეზით წაართვეს ქოხიცა ჲ მინდორიცა. ამ სახით, მოაკლდნენ

უკანასკნელს ცხოვრებასა და დარჩნენ მწარედ გაღატაკებულნი.

ამათ დაუტევეს თავიანთი სამშობლო და გადასახლდნენ სხუა სოფელში. ზოგი ერთა კეთილთა კაცთა, შეკრიბეს ფული და მისცეს იმათ, რომლითაც იყიდეს ერთი ძველი ქოხი, ნახევარზედ დაქცეული, ოცდა ათ ვერსზედ მუშაობით თავიანთ სამშობლოთგან. ბერიტა დილითგან საღამომდის ართავდა ჯარაზედ მაოვსა და იმითი ორიოდე შაურს იღებდა, მარსელს რა ვეღარ შეეძლო მძიმის საქმის გაკეთება, ბაშმაკებს უკეთებდა იქაურს ქალებს და იმითი ირჩენდნენ თავსა; ამის მიზეზით სოფლელები უძახდნენ ამ კაცსა, ბებერს მებაშმაკეს ღატაკის ქოხისას. ის ცუდად არაოდეს არ იჯდა, რასაც ფულს იღებდნენ ისინი, დღიურ საზდო პურს ძლივსა ყიდულობდნენ, ტანთ საცმელად კი არაფერი რჩებოდათ. ტანისამოსი სრულებით დაგლეჯილი ეცვათ, ისინი ვეღარა ბედავდნენ ეკკლესიაში სიარულს უქმე დღეს, ხალხისა რომ სცხვენოდათ,-ამასთანავე ზამთარი ახლოვდებოდა და ამის მოგონებაზედ შიშის ზარი თავს ეცემოდა, ამ დროს მარსელ ლოცვებში ჰკითხულობდა: «მიხედეთ ფრინველთა, რომელნიცა არცა ხნამენ, არცა სთესვენ და მამა მათი ჰკვებს მათ, თქუენ...

მარსელმა დაკეცა ლოცვის წიგნი იმ დროს, როდესაც წირვა გათავდა და მლოცველნი გამოდიოდნენ ეკკლესითგან. ეს წამი ძრიელ მძიმე იყო იმის გულისათჳს. ეკკლესიის წინ გაშლილი იყო მშვენიერად

მწვანედ მობიბინე მინდორი, რომელზედაც იდგნენ აქა იქ ცაცხვის ხეები დაბურულის ფოთლით. იმ ალაგს ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ მლოცველნი, აქა იქა დგებოდნენ მგრგვლივ და მუსაიფობდნენ. ახალგაზდა ქალი თუ კაცები მხიარულად თამაშობდნენ, ხოლო მოხუცებულნი უყურებდნენ იმათ კმაყოფილებით. ახ! ეს სანახაობა, სახლოსნობის მხიარულება იყო, რომლის ნახვა უფრო ჰკლავდა იმის გულსა; ის ფიქრობდა და აგონდებოდა თავისი დანაკარგი მხიარულება. წვრილ-წვრილად მლოცველნი გაიფანტნენ და წავიდნენ თავიანდ სახლებისკენ. მარსელი ისევ იმ ფიქრით გარინდებული იდგა იმავე ალაგსა.

მარსელი, ქოხის პირ და პირს გზის იქითა ნაპირს, იყო გირაკი მწვანედ აბიბინებული, ზედ იდგნენ ცაცხვის ხეები რომელთაცა დაეჩრდილებინათ საამოდ. ერთს ცაცხვის ხის ძირში ისვენებდა ერთი ვიღაცა მგზავრი. მხარზედ ეკიდა სამგზავრო ჩანთა, ჴელში ეჭირა ჯოხი. ჩექმები გამტვრიანებოდა, სჩანდა რომ შორის გზითგან მოდიოდა ფეხით; მაგრამ იმის ჩაცმულობითგან სჩანდა, რომ შეძლებული უნდა ყოფილიყო. რა დაისვენა რამდენიმე მინუტს ჩრდილში, იმან ძირს დასდვა ჯოხი, მხრითგან მოისხნა ჩანთა, რომლითაც ამოიღო თეთრი პური, რამდენიმე ხმელი ხლიი და დაუწყო საუზმეს ჭამა. შემდგომს მგზავრმა ამოიღო ფარჩის ბოხჩა, გახსნა, ზედ უყურებდა მხიარულად, მერე ისევ დაკეცა, ჩასდვა ჩანთაში; ამოიღო უბითგან ვერცხლის საათი, დახედა,

ადგა ფეხზედ, წამოავლო ჴელი ჯოხსა დ შეუდგა გზასა.

გზა მშვიდობისა მოგცეს, კეთილო მგზავრო, იფიქრა მარსელმა. შენ მეჩვენე ისე ბედნიერად, რომ მეც მომივიდა სურვილი დავისვენო რამტენიმე მინუტს იმ ალაგს, სადაცა შენ ისაუზმე. იქნება მშვიდობიანს მილში, დავივიწყო ცოტა ხანს მწუხარება.

მარსელმა, რა არა უხრა რა ბერიტას, რომელიცა ამზადებდა მეორის დღისათჳს თავის ჯარას, დაანება თავი ქოხსა დ გასწია გორაკზედ. იმ ალაგს რომ მივიდა, სადაცა მგზავრმა პური ჭამა, ნახა რომ თეთრი რაღაცა ეგდო, მარსელი დაიღუნა დ აიღო ჴელში დახვეული ქაღალდი. იმას ეჩვენა მძიმედ. გახსნა ქაღალდი, შიგ იყო რვა ხუთ მანეთიანი ოქრო დ ოქროს ჯვარი ოქროსივე ჯაჭვით, ეს საუნჯე, იშვიათი რამ იყო მარსელისათჳს. ის კარგა ხანსა სინჯავდა ამ ოქროებსა, აჩხრიალებდა, თითქმის ამითი სიამოვნებდა, მერე ისევე შეახვია ქაღალდში. იმან დაკარგა ძილის სურვილი, მაგრამ იმ გზას უყურებდა, საითაც მგზავრმა გასწია დ ხან დ ხან გადმოხედამდა თავის ქოხსა, ბერიტა იყურებოდა ფანჯრითგან დ თვალებით ეძებდა თავის ქმარსა. შარსელმარომ დაინახა; ანიშნა იქითგან ჴელით, ესეც იქ მისულიყო, აქ რას აკეთებ, ჰკითხა მოხუცებულმა ცოლმა, რა ძლივს ავიდა გორაკზედ.

— ერთი შეხედე, თუ რა ვიპოვნე ბერიტა. იმან გახსნა ქაღალდი.

— »ზეციერო მამაო! ამას რას ვხედავ! ეგ ხომ ოქროებია. ერთი, ორი, სამ... რვა. რვა ოქრო ხუთ მანეთიანი! მერე ამისთანა პატარა ქაღალდში გახვეული! ეს ჯვარი? როგორ ფიქრობ, სპილენძისა არის, თუ თითბრისა?

— მე მგონია, ორივე ოქროსი არის.

»ოხ, ღმერთო! რა საუნჯე არის! ზეციერ ანგელოს დაუდვია აქ, ჩუენ უბედურისათჳს. შენ, მარსელ, შენის ლოცვით მიეცი ღმერთს სიამოვნება და იმან გამოუგზავნა, ფრინველთ, რომელნიცა არცა ვხნავთ და არცა ვსთესავთ, საზრდო. ახლა ჩუენ ისევე მდიდრები ვართ, გამიგონე მარსელ,! ერთის ოქროთი ვიყიდით ტანისამოსს,-ტანისამოსი ტფილი უნდა ვიყიდოთ, რომ არ შეგვცივდეს ზამთარში; ერთის ოქროთი პური ვიყიდოთ; ერთის ოქროთი კიდევ, სახლის ავეჯეულობა, თეფში, ლამბაქი და სხუა.. კარგი იქნებოდა ერთი ძროხაც გვეყიდნა, მაგრამფული იმდენი ვეღარ გახვდება, მაშ ძროხა საჭირო არ არის, მეტის ყიდვა არ შეგვშვენის, ამას გარდა უნდა შევინახოთ, რა ვიცით, ავათმყოფობა არის, მაგრამ, მგონია შენ იცინი. ახლა შეიძლება გავიცინოთ, ცოდვათ არ ჩაგვეთვლება.

— ბერიტა, მე შენზედ ვიცინი, შენ სხვის საკუთრებას ისე განაგებ, თითქმის შენი იყოსო.

»როგორ თუ სხვისა იყოსო? განა შენ ეგ ფული არ იპოვნე? შენ იცი განა, ვისაც ეგ ფული ეკუთვნის? ფულს ხომ არ აწერია ზედა, ვისიც არის. ფული იმისია, ვისიც ჴელში ის იქნება.

— რომ ვიცოდე ვისიც არის?

»საიდან გეცოდინება?

— ეს ფული და ეს ჯვარი, ეკუთვნის ერთს მგზარს, რომელიცა წელან ისვენებდა ამ ადგილასა, ცაცხვების ქვეშ. მე თვითან ვნახე შორიდგან, ეს აქ დაეკარგა.

»უნდა ვიკითხოთ, რომ ამისთანა ოქროები იმისი სხუაც ბევრი ექნება; თუ ეს ასე არ იყოს, ის გაუფრსილდებოდა და არ დაეკარგებოდა. იმისათჳს მაგისი დაკარგვა არაფერია და ჩუჱნთჳს კი მაგისი პოვნა დიდი რამ არის.

— მართალს ანბობ ბერიტა, ამისათჳს რომ ამას შეუძლიან ჩუჱნი სულის დაკარგვა. ჩუჱნ სიცოცხლე დიდი ხნისა აღარა გვაქუს ქუჱყანაზედ, რისთვის უნდა გავაჩირქიანოთ ჩუჱნი წმინდა სვინიდისი ამ რვა ოქროთი? შენ ასე გგონია ეს ჩუჱნ დიდს სარგებლობას მოგვცემს, შენა სცდები? ეს ფული რომ შევინახოთ, უფრო უბედურები ვიქნებით. ჩუჱნ გვექნება მართალია კარგი ქვეშაქები, მაგრამ დავკარგავთ მშვიდობიანს მილსა; შევიკერავთ წმინდა ტანისამოსსა, მაგრამ იმ ტანისამოსში სვინიდისი შეგვარცხვენს და ხალხს ველარ ვეჩვენებით. მერე, როცა მოვა საშინელი სამსჯავრო, იმ დღეს? რა უნდა უპასუხოდ შემომქმედსა ღმერთსა, მჯდომარესა სამეუფო ტახტზედ, ჩუჱნის თავის გასამართლებლად? სიღარიბით თავს ვერ გავიმართლებთ! ღარიბი კაცი უფრო უნდა ცდილობდეს სხუაზედ მეტად, პატიოსნებასა, ამისათჳს, რომ იმას უფრო ბევრი შემ-

თხევა აქვს, ჩაიდინოს დანაშაულება. იმას მხოლოდ ერთი სიმდიდრე აქუს, ქუეყანაზედ; მშვიდობიანი სვინიდისი. გამხნევდი ჩემო მეგობარო! შიმშილით ვინ მომკვდარა, რომ ჩუენ დავიხოცნეთ, აბა უყურე იმ მინდვრებს; ჩუენ წავიდეთ როცა დრო მოვიდეს და დაცვინული თავ-თავი ავკრიფოთ· ჩუენი სოფლის მამულისა კეთილი კაცი არის, ის ნებას მოგვცემს, ეს უფრო უკეთესი არის ამ სიმდიდრეზედ, რომელიც ახლა ჴელში გვიჭირავს, და რომელზედა ცჩუენ სიმართლე არ მიგვიძღვის.

»მართალია, მიუგო ცოლმა მწუხარებით, საჭმელი გვაქუს საკმაოდ, მაგრამ ტანისამოსი? რით ჩავიცვათ?

— ღმერთი მრავალ მოწყალეა. განა შენ არ წაგიკითხავს რომ სწერა, ტანთ საცმელს ყოვლისა შემომქმედი მცენარეთაც კი აძლევსო, ჩუენ არ უნდა ვზრუნავდეთ ხვალისა დღისათჳს. იქნება იმ მგზავრმა საპოვნელაც მაჩუქოს, თუმცა ღირსი კი არა ვარ, რადგანც ვასრულებ ქრისტიანურს მოვალეობასა. მაგრამ რომ მაჩუქოს იმდენი, რამდენითაც მოგვივიდოდეს ტანისამოსი ჩემო ბერიტავ..

»ეგ ყველა კარგი, მაგრამ სად იპოვნი იმ მგზავრსა?

— მე იმას მოვეწევი.. ის იმ გზაზედ წავიდა. მე მოკლე გზით წავალ და წინ უეჭველია შევხვდები.

»რომ ვერ შეხვდე?

— მაშინ...მაშინ...მე ვიცი რასაცა ვიქ.

»ფული შენთჳს შეინახე.

— არა, არა, მაშინ ქალაქში შევალ. ასე უნდა ვქნა. გზაზედ საჭმელი არ მექნება, მაგრამ ვიგლახავებ და ისე ჩავალ, იქ უთუოდ ვიპოვნი იმ მგზავრსა. მომეცი ჩქარა ჩემი ჯოხი. მე წავალ, შენ ნუ შესწუხდები ბერიტა, თუმცა მუხლები მეკეცებიან, მაგრამ როგორც იქნება, მივჩანჩალდები.

ბერიტა გაიქცა ქოხისაკენ, იმასა სცხვენოდა რომ პატიოსანის მარსელის სიტყვები აგონდებოდა, იმან მოურბევინა ქმარს ჯოხი. წადი ჩქარა მარსელ, უთხრა იმან, მაგ ოქროებმა დამაფიქრეს, კინაღამ ცოდვაში შემიყვანა; ჩქარა მოიშორე თავითგან ღუთის გულისათჳს.

მარსელმა გასწია. სუსტი ფეხები მოხუცებულებისაგან ძლივს ემორჩილებოდნენ, ის მიდიოდა ძნელად და მრთელ წუნარა. რა შემოჭბერამდა ნიავი, თეთრს თმებს საამოდ გადაუშლიდნენ და ნავლეჯს კაბას უფრიალმბდნენ. ბერიტა უყურებდა იმ გორაკიდგან და თვალს ადევნებდა, როგორც მიჩანჩალებდა მოხუცი. ის ვერ მოეწევა მგზავრსა, ფიქრობდა ისა; მერე ქალაქში წასვლა არ მოუხდესო, თვრამეტი ვერსი ადვილი საქმე არ არის, საწყალი მოხუცი დაიღალება და დაიტანჯება. მე სულელი, რისთჳს მე . . . არ წაველი იმის მაგიერ, ის ჩემზე უფრო მოხუცებული არის და სუსტი ჯანის პატრონიო. ბევრს რაღასა ვფიქრობ, მეც უკან გაუდგები, წუნარა მიდის, მოვეწევიო. ბერიტას სამოცი წლის დედაკაცს, კიდევ ასე ეგონა, რომ თავის ქმრის შესაფერ, ეს ყმაწვილი ქალი იყო და მირბოდა ქმრის უკან.

ის მიყწია, მოჰკიდა მკლავში ჴელი და ეუბნებოდა: შენ აქ დაჯექი მოხუცო, მე თითონ მოვეწევი მგზავრსა, შენ მაგიერ.

— არა, ბერიტა. ეგ არ შეიძლება, ეუბნებოდა ქმარი ცოლსა, შენ ის მგზავრი არ გინახავს, აბა როგორ იცნობ, იქნება ერთი ვიღაცა სხჳა ავაზაკი ვინმე შეგხვდეს, ის გეგონოს და იმას მისცე.

»ეგ მართალია, მიუგო ცოლმა, ეგ სრულებით ვეღარ მოვიფიქრე. მაშ მითხარი იმ მგზავრის პირის სახის ნიშნები, როგორ აქვია, ბებერია თუ ახალგაზდა; შავი თმიანი არის თუ ქერა?

— მე ის ახლო არ მინახავს, უთხრა მარსელმა, მაგრამ მე რასაკვრველია ვიცნობ. შუათანა ხნის ყმაწვილკაცია, მაღალის ტანისა, მსუქანი და პირ მრგვალი. მაგრამ ბერიტა, მოდი ერთად წავიდეთ, ერთმანეთს სიარულში გავამხნევებთ.

ბებრებმა დაუჭირეს ერთმანეთს ჴელი და გასწიეს, მოკლე ბილიკის გზით: რა გავიდნენ შარა გზაზედ, შედგნენ და დაიწყეს აქეთ იქით ყურება. ბოლოს დაინახეს მგზავრი შორს მიმავალი. აგერ ის! შეჰყვირა სიხარულით მარსელმა, წავიდეთ და მოვეწიოთო. მგზავრმა რომ დაინახა ესენი იმისაკენ მიმავალი, იფიქრა, გლახები არიან და მოწყალებას ითხოვენო. რა ჯიბეს იკრა ჴელი და უნდოდა მიეცა ფული, ბერიტამ უთხრა:

»ჩუჱნ არაფერი გვინდა; მაგ მოწყალებისათჳს მადლობელნი ვართ, ჩუჱნ თვითან უნდა მოგცეთ რამეო,

— მე, კეთილნო ხალხნო? ეგ როგორ შეიძლება. უპასუხა მგზავრმა.

— ჩემი ცოლი შესცდა, ბატონო, უთხრა მარსელიმ, მაგას უნდა მოეხსენებინა, უკან უნდა დაგიბრუნოთო და სხჳა ფრივ გამოსთქვა ეს სიტყვა. თქჳც არა ბძანდებოდით, ამ ორი საათის წინათ, სოფლის ახლოს გორაკზედ, ცაცხვის ხის ძირში რომ ისვენებდით?

— მე ვიყავ ჩემო საყვარელო. ახლა მამაგონდა, შენცა გნახე ერთის ქოხის ფანჯარასთან მდგომარე.

— თქჳცნ ზურგითგან მოიხსენით ჩანთა და გახსენით, მართალია თუ არა?...

— სწორეთ აგრე არის; მე პური მშიოდა და ვისაუზმე. ისე მეჩვენა რომ საუზმის ჭამა გაშლილ ცის ქვეშ თავისუფლად და ცაცხვების ჩრდილში; ერთი ორად გემოიანი იქნებოდა.

— მე თითონაც შევნიშნე, სიამოვნებით რომ მიირთმევდი პურსა, პურის ჭამის შემდგომს რაღაცა ბოღჩასა სინჯავდით, და იმ დროს რაღაცა დაკარგეთ.

— რვა ოქრო და ერთი ოქროს ჯვარი, რომელზედაცა სწერია რამდენიმე სიტყვა.

მარსელმა ნახა ზედანაწერა, მაგრამ ვერ გაარჩი: რა იყო, ამისათჳს რომ სათვალეები შინ დარჩომოდა: მგზავრმა გამოიღო ზურგითგან ჩანთა და რა უწე ჩხრეკა, მართლად ნახა რომ აღარც რვა ოქრო იყო და აღარც ოქროს ჯვარი.

— უპატივცემულესო მგზავრო, უთხრა მარსელიმ, რასაც ემებ რას იპოვნი, როდესაც რომ მე თითონა მაქვს. აი ბატონო თქჳენი რვა ოქროს და ოქრო საათი; შეინახეთ თქჳენსავე ჩანთაში და გაუბრთხილდით.

მგზავრი უყურებდა დიდის პატივის-ცემით, მადლობით და მეტის გრძნობით უჭერდა ჴელს, მარსელის ჴელსა.

— შენ არ იცი კეთილო კაცო, უთხრა მგზავრმა მარსელსა თუ რა დიდი რამ არის, ეგ შენი ჩემთან სამსახური. ვალი მაქჳს მოგახსენო კეთილო მოხუცო გულმხურვალებითი მადლობა, უფრო თქჳენ, რომ აგრე სიღარიბეში იმყოფებით, როგორცა სჩანს თქჳენის ტანთ საცმელისაგან და ამ გვარს კეთილშობილურს საქმესსჩადით.

»ოჰ, ჩემო ჴელმწიფევ, უპასუხა ბერტამ, ჩჳენზედ ღარიბი ვეღარსად შევხვდებათ! ჩჳენ...

— რა საჭირო არის სიღარიბეზედ ლაპარაკი, წაართვა მარსელიმ თავის ცოლს სიტყვა, მადლობა ღმერთსა, რომ დაუბრუნეთპატრონს თავისი დანაკარგი, რომელიცა ჩჳენთჳს სრულებით გამოუსადეგი იყო, რა ჩჳენი საქმეა, ამდენი ოქროს ქონება.

— თქჳენს წლოვანობაში ამოდენა გზის გამოვლა ფეხით, რა არის პატრონს დანაკარგი დაუბრუნოთ, უთხრა მგზავრმა, გამოუთქმელი კეთილშობილური ქცევა არის ესა! არა გყავთ შვილები?

»შვილებიო, სთქუა მწუხარებით ბერტამ, ჩუენ აღარა გვყავს შვილები! გვყვანდნენ მშვენიერი შვილები, ერთი ქალი და მეორე ვაჟი, მაგრამ ღმერთმან მიიღო, ისევ უკან და ეს ჩუენთჳს დიდი უბედურება არის!

— მაგრამ, დაუმატა მარსელიმ, მადლობით ვითმენთ ამ უბედურებასა. მაგრამ ბერტა, დრო არის ახლა უკან დავბრუნდეთ; ჩუენ ვაცდენთ ამ კეთილსა მგზავრსა! ღმერთმა კეთილი გზა მოგცეს ჴელმწიფეო ჩუენო, სიფრთხილით მოიქეცით, კიდევ არ დაკარგოთ ეგ საუნჯე.

მგზავრი, სჩანდა რომ ამღვრეული იყო. არა კეთილო მოხუცო, უთხრა იმან მარსელის,-მე ვერ შემიძლიან ისე განვშორდე. დავსხდეთ და ყური დამიგდეთ: ეს ოქროს ჯვარი, ჩემთჳს საღმრთო რამ არის; მე არა მაქუს უფლება, ჩემს სურვილზედ მოვიხმარო, რომ იცოდეთ ეს ფული და ეს ჯვარი, ვისთჳსაც არის გაგზავნილი, მაშინ თქუენ თვითან დამეთანხმებოდით, რომ ამისი დახარჯვა მე არ შემიძლიან. მე მაქუს თან კიდევ ფული, მაგრამ სამოცი ვერსი თითქმის გზა მაქუს გასავლელი და მე ძლივს მეყოფა სახარჯოთ; მაგრამ რამდენიმე დღის შემდგომ გნახამ და გადაგიხდი შესაფერად. მითხარით კეთილო მოხუცო თქუენი სახელი, მე ძრიელა მსურს ვიცოდე; მაგრამ ან რა საჭირო არის, ხომ მოვაგნებ იმ გორაკსა, სადაცა პური ვსჭამე და იმ სოფელსა, სადაცა თქუენ დგეხართ; იმ სოფელსა სადაცა დგანან თქუენისთანა პატიოსანნი და კეთილნი კაც-

ნი, თქუჱნი სახელი მოხუცო? დაუმატა მგზავრმა, და თან ამოიღო ჯიბითგან ქაღალდი და კარანდაში ჩასაწერად.

— რომ იკითხოთ იმ სოფელში, მებაშმაკე ღატაკის ქოხისა, ყველამ იცის, მიუგო მარსელმა, დიდი მოხარული ვიქნები, რომ მოგვიგონოთ როდისმე. თუ თქუჱნ არ მოვაგონდებით, მაინც მე და ჩემი ცოლი ვილოცებთ თქუჱნთჳს, ამისათჳს რომ რამდენიმე წამი მოგვეცი სიამოვნება; ჩუჱნი სიცოცხლე ძრიელ ღარიბია სიამოვნებით. მშვიდობით!

— ახ, კეთილო მოხუცო! უთხრა მგზავრმა, იმ ბედნიერების ღირსი არ ვიქნებოდი, რომელსაცა ვეძებ ახლა და რომლისათჳს მეშინის, ვაი თუ ვეღარა ვნახო. თუ რომ მე თქუჱნ დაგივიწყებდით, აგერ თუთხმეტი წელიწადია, რაც დამიტევებია ჩემი სახლობა; იმ დღითგან, იმათზედ ცნობა არა მაქუსრა, კვდარნი არიან თუ ცოცხალნი, არ ვიცი, მამა ჩემს და დედა ჩემს მე მკვდარი ვგონივარ, მაგრამ იქნება თითონ ისინი იყვნენ დახოცილნი; რა ბედნიერება იქნება ჩემთჳს, ცოცხალნი რომ დამხვდნენ!

— ოჰ, მაღალო ზეციერებავ! სთქუა ტირილით ბერტამ. რა ბედნიერნი არიან ისინი, რომელნიცა ჭმოვებენ ქუჱყანაზედ თავიანთ შვილებს?.. ჩუჱნ ხომ ვინ გვაღირსებს ჩუჱნი შვილების ქუჱყნად ნახვას და ზეცაში კი იმედია ვნახავთ.

— განა რომ მართლა გითხარი ბერტა, უთხრა მარსელიმ თავის ცოლსა, ზოგჯერ შვილები, დიდი მწუხარების მიზეზნიც არიან. აი პატიოსანი კაცი, თუთხმეტი წელიწადი არ უნახავს თავისი დედ მამა, რომელთაცა შვილისა არაფერი აღარა გაუგონიათრა, ეს უფრო მეტი არ არის სიკჳდილზედ?

— მე დანაშაული მაქჳს, მართალია იმათთან, ეუბნებოდა მგზავრი, როდესაც სიჭაბუკეში ვიყავი, ერთს აფიცარს დაუჯერე რჩევა და მაცდინა, ჩემი მშობლების შეუტყობელად, შეველი ჯარში; დანარჩენში უნდა გავამტყუნო ჩემი ბედი, ჩჳენი პოლკი მაშინათვე გაგზავნეს ბატავიაში; მე გამგზავნეს ერთს კუნძულზედ, საიდამაც ველარ შევიძელი, მიმეწერა წიგნი ევროპაში ჩემ მშობელთათჳს, შემდგომს წიგნს წიგნზედ დაუწყე გზავნა, მაგრამ პასუხი ვერც ერთხელ ვერ მივიღე; ამ დროს ფული ბევრი შევინახე, მაგრამ ეს მაინც ნუგეშს ვერა მცემდა, რათ მინდა სიმდიდრე, თუ გული მწუხარებით სავსე მაქვს, ჩემი გული ჩემ დედ მამასთან იყო; სულ ისინი მაგონდებოდნენ. მე სულა ვფიქრობდი ჩემს სამშობლო ქჳეყანაზედ ამისათჳს, რომ რაც ძვირფასნი იყვნენ ჩემთჳს, ისინი იქა სცხოვრებდნენ; იქ მეგულებოდნენ დედა ჩემი, მამა ჩემი და და, ბოლოს დავბრუნდი შინათკენ, ჩავჯექ გემში იმ მხიარულის აზრით, რომ მე მაქჳს შეძლება და შემიძლიან მოხუცების დროს გავახარო დედ მამანი, ჩემი საყვარელი და, მოველი უვნებელად გამბურღში, სადაცა შემხვდა, ჩემი ნაოსტატა-

რი, დურგალი, რომელთანაცა ვწავლობდი სიყმაწვილის დროს ამ ხელობასა. მე მაშინათვე ვიცანი ისა, თუმცა ჯერ ვერ მიცნო იმან; როდესაც უთხარი ჩემი სახელი, გვარი, გაჰკვირდა, გადმომეხვია და შემიყვანა თავის სახლში, სადაცა ჰყვანდა მშვენიერი ქალი გასათხოვარი. იმან შემიყვარა მე. მინდოდა წამოვსულიყავი ჩემი სამშობლო ქჳეყნისაკენ, მაგრამ ჯულეტა, ჩემი საცოლო, არ მიშვებდა. — ამ დროს წიგნებსა ვწერდი ჩემთა დედ-მამათა, მაგრამ პასუხი არ მომდიოდა, ბოლოს მოთმინებითგან რა გამოვედი, მიველი ჯულეტას მამასთან და უთხარი: შენ ხომ მიცნობ მე, ჯულეტა მე მომეცი ცოლად. ახლა წავალ ჩემ დედ-მამასთან, ლოცვა კურთხევას ავიღებ. ის თანახმა შეიქნა, წამოველი გამბურღითგან და ახლა მივდივარ ჩემი დედ მამის, დის, სანახავათა და ლოცვა კურთხევის ასაღებათა. ჩემს ჯულეტას კარგი გული აქჳს. იმასა ჰქონიყო თავის ჴელსაქმით შეგროვებული ფული რვა ოქრო, ის ფული მე მომცა, ჩემი დედ-მამის და დის გადასაყვანათ გამბურღში, გზაზედ სახარჯოთ, ამ ოქროს ჯვარსა, უგზავნის ის ჩემი კეთილი საცოლო ჩემს დას. ნიშნად სიყვარულისა, ყელზედ დასაკიდებლად. ოჰ, როგორ გავახარებ ჩემს მშობლებს, ჩემს დას, ამ საჩუქრებით! აბა ახლა იფიქრეთ, რა მწუხარება იქნება ჩემთჳს, რომ ის ჩემი სახლობა ცოცხალი არ დამხვდეს. ამას გარდა, რომ დამეკარგა ეს ჩემი საუნჯე, რა სახით შევწუხდებოდი, თქჳენი სამსახური მეტად დიდია ჩემთან... ოჰ, ღმერთო! რა მეშვე-

ლება დედ-მამა რომ არ დამისვდნენ ცოცხლები? გული მევსება ნაღველით! ჩემს დას კი, იმედი მაქვს, ვნახავ ამისათჳს, რომ ხუთი წლით ჩემზედ პატარა იყო. მერე რა მამა მყავს,-კეთილი კაცი, რომელიცა მზათ იყო შემწეობა მიეცა ყოველი ღარიბის და დავრდომილი-სათჳს.—-დედა? დედა კიდევ უკეთესის კეთილის სული-სა და გულისა. ყველა ობოლი, ქვრივი, ღარიბი, მას-თან მიდიოდნენ ნუგეშის საცემელად!... კეთილნო ადა-მიანებო! მითხარით ღ̃თის გულისათჳს, ხომ არ გა-გიგონიათ მარსელის . . . . სახელი, რომელიცა ერ-ქვა მამა ჩემსა და სახელი იმისის ცოლისა, . ესე იგი დედის ჩემისა, ბერტასი?

»ოჰ. მეუფეო ზეცათაო! შეჰყვირა მოხუცებულმა კაცმა, რა გაუპყრო ორივე ჴელები ზეცასა. ბერტა! ჩემო მეგობარო? სიზმარია თუ ცხადი? გესმის ბერტა? იქნება მართლა აღდგა ჩუ̃ნი საყვარელი შვილი ლუდოვიკი? დედაკაცო, ხმა ამოიღე, მუხლები მიკანკალებენ, გული მიწუხდება, იმასა ვხედავთ, ჰა?... ზეციერო მამაო, ნუ მომკლავ მეტის სიხარულით!

როგორ აუწეროთ მკითხველს ის წამი, ისინი გა-დაეხვივნენ თავიანთს შვილს ლუდოვიკს, რომელიცა ეგონათ მკვდარი იყო და არ ენახათ თხუთმეტი წე-ლიწადი. ბერტას ენა დაება, ლაპარაკი ველარ შეეძლო, უყურებდა თვალებში, ეხვეოდა დიდის სიყვარულის გრძნობით, მიიკრავდა იმის ჴელს გულში და ესავდა რო-გორც მხსნელს ანგელოზს.

— დაიჩოქე ბერტა, შეუძახა მოხუცებულმა მარსელიმ, და დაეცა ორივე მუხლებით მიწაზედ: ცისა და ქუეყნის შემძლებელო ღმერთო! შენი სურვილი არის გვაჩვენო ქუეყანაზედ ჩუენ ცოდვილთა, ზეციური სამოთხე! შენ დაგვიბრუნე ჩუენი შვილი!

მაგრამ არა! ქუეყანაზედ ღმერთს არ მიუცია არავისთჳს, ისიამოვნოს ზეციურის სამოთხითა; ქუეყნიერი ბედნიერება, სრული არ არის, იმათ მოაგონდათ ჟორჟეტა და ცხადად იგრძნეს, რომ ისინი არიან კაცნი.

— ჩემი და? ჰკითხა ლუდოვიკმა, ჩემი კეთილი და სადღა არის? წეღან მითხარით, შვილები აღარა გვყავანო, სად არის ჟორჟეტტა?

»ახ, ის აღარა გვყავს, მიუგო ბერტამ, რა მოუვიდა ტირილი, ის მოკვდა ჩემ მკლავზედ! ის ვერ ატარებს, ყელზედ, შენგან მოტანილს ოქროს ჯვარსა.

ლუდოვიკმა აღარა თქვარა, და დაჰკიდა ჯვარი თავის დედასა.

— ოო! მე დარწმუნებული ვარ, სთქუა მარსელიმ, რომ ჟორჟეტა, ახლა გვიყურებს ზეციურის სიმაღლითგან. —

მარსელიმ სასოებით აიბრიალა თვალები ზეცისაკენ, თითქმის უფსკრულის სიღრმეში, მოეხილვა შვილის ჟორჟეტას სახე და სთქუა:

— ის იქ არის; იქ განისვენებს, იმ შორს მეოფს ნათელში, შორის უბიწოთა ანგელოზთა!...

რამდენიმე წამს ჩამოვარდა სიჩუმე; გული იმათი აღივსო ღ̂ჳთიურის ლმობიურის გრძნობითა, თითქმის ზეციური განგება, იმათ წინ გამოცხადდაო, თავისის საკურველის კურთხევითა.

— ბერტა, ახლა ხომ შეიტყე, რომ ლაზარეთში-აცა რჩებიან ავათმყოფობისგან? ამაოდ სტანჯამდი შენს სულსა.

ლუდოვიკმა უანბო, თუ როგორ იწვა ბოლნიცაში, სადაც იმის გვერდზედ ერთი აფიცარი იყო ავათმყოფი დ̃ იმან შეაგულიანა ჯარში შესულიყო ლუდოვიკი, რომ მორჩა, იმ აფიცარმა გააგცია იქითგან ჩუმათ, ლუდოვიკის ოსტატს შეეშინდა, იმას არ მოჰკითხებოდა ეს შემთხვევა დ̃ მშობლებს გამოუცხადა, ვითომც ლაზარეთში მოკვდაო. დედ-მამამაც უანბეს თავიანთი თავს გადასავალი.

მარსელმა დ̃ ბერტამ უკანასკნელი თავიანთი სიცოცხლე გაატარეს, მოსვენებით დ̃ თავისუფლად. ჯულეტა, იმათი რძალი, ძრიელი ჰატივის მცემელი იყო ამითი დ̃ შვილი ლუდოვიკი, იყო ამათი ანგელოზი მფარველი.

ი. კ.

## რამდენიმე სიტყუა შესახებ უფ. ქელისოვსკის ლექ-ციისა.

### 15 ნოემბერს 1871 წელსა.

ჩუენ ქართველები საკვირველის თვისებისანი ვართ; ერთი რამ რომ შევიტყოთ, ანუ მოვისმინოთ, მაშინათვე მტრულად დავიწყებთ სჯასა, და საქმის რიგიანს განხილვაში კი არ შევალთ; თუ ერთმა ტაში დაუკრა სხვანიც ერთპირად მოჰყვებიან ტაშის კვრას და ყაყანს ქებისას; და თუ ერთმა ანუ ორმა დაიცინა რომელიმე საგანზედ, ყველანი იმას მისდევენ და დაიცინებიან. ჩუენ ჩუენი სჯა ხომ არა გვაქუს საგანზედ; ჩუენ სხვის სიტყვას ვბაძავთ, ეს კარგი არ არის ჩემო მკითხველო; საქმეს უნდა დავაკვირდეთ გამოცდილის თვალით; უნდა რიგიანათ მოვისმინოთ საგანი, და მერე ისე დავიწყოთ სჯა; საგიებელი გიებას მივცეთ და საქები ქების ღირსებასა. როდესაც უ. ქელისოვსკიზედ ანბობდნენ და ლაპარაკობდნენ ნოემბრის თვეში ლექცია უნდა წაიკითხოს გიმნაზიის ზალაში შესახებ ნეტარხსენებულის, თ. მამუკა ორბელიანისაო, ერთმა სთქუა: ის რა ღირსი არის,

იმაზედ კაცმა ლექცია წაიკითხოსო; მეორემა სთქჳა, რომელი პიიტიკოსი იყო რომ, საქჳეყნოდ იმაზედ ითქვას რამეო; მესამემ რა და მეოთხემ, ვინ მოსთვლის,- ბოლოს გამოვიდა, რომ ეს სულ ითქმოდა მტრობით; არა განსვენებულის მამუკა ორბელიანისა, არამედ ქელისოვსკის მტრობით; არა ჩემო მკითხველო, ეს რიგი არ არის, პატიოსნება, კეთილშობილება ის არის, რომ კეთილს ვუწოდოთ კეთილი და ბოროტს ბოროტი. რა დააშავა ქელისოვსკიმ, რომ წაიკითხა 15 ნოემბერს ლექცია, მამუკა ორბელიანზედ. რაო, პოეტი არ იყო ის კაცი? მე დაგიმტკიცებთ, რომ ის განსვენებული სწორეთ პოეტი იყო, ისეთი პოეტი, რომელიცა ბევრითა სჯობდა იმ პოეტებს, რომელნიცა სწერენ ლექსებს და გული კი სავსე აქჳსთ ღვარძლითა, რა არის პოეზია? ჩემის აზრით პოეზია მიუწერება ყოველს კეთილს და მაღალ ზნეობითს თვისებასა; ამ მაღალზნეობითს თავის გულის თვისებასა, ზოგი წარმოსთქვამს ლექსად, ზოგი კი ვერ წარმოსთქვამს, მაგრამ იმ გზაზედ კი მოქმედებს საქმით. მოლექსე იქნება ლექსებსა სწერდეს მალიან კარგათაცა და კეთილს წარმოსთქვამდეს საქვეყნოდ, მაგრამ იმის გულში კი სხჳა სძევს, ჩჳენ ეს მაგალითები ვიცით. მამუკა ორბელიანი ლექსებს არა სწერდა, მართალია დაწერა ერთხელ, რომელიცა კიდეც დაუბეჭდეს «ცისკარში» მაგრამ იმისი გული იყო ყოვლის პოეზიით სავსე იყო. ერთის სიტყვით იმისი გული იყო სავსე გრძნობითა და თუ ეს ასე არ ყოფი-

ლიყო, ის არ გამოჰკვებდა რამდენსამე ღარიბს და ღატაკს სახლობასა. ჩუჱნ ვიცით და გვინახავს ჩუჱნის თვალით, თუ როგორს შემწეობას აძლევდა ქვრივ, ობოლს, ოხერს, ერთის სიტყვით ღარიბს. ისე კი არა, ერთს შაურს რომ მივცემთ,-არა, მრთელს სახლის ხარჯს აძლევდა, რამდენსამე დაცემულს ოჯახობას. ეს პოეზია არ არის? მაშ ამ კაცზედ არა უნდა ითქვას რა, რომ გაიგოს ქუჱყანაზე რა კაცი ყოფილა, რომ ეგები სხუანიც გააღვიძოს და იმის კვალს შეუდგნენ?

მინამ ქელიხოვსკი ლექციას წაიკითხავდა, პირველადვე დაუწყეს გიება, თუ რათა კითხულობდა? ზოგნი ასე ამბობდნენ, ქართველები არ უყვარდაო, ქართველებს ჰკიცხავდაო, ეს სრულებით სიცრუე არის. ჩუჱნ ქელიხოვსკის სიყრმიდგანვე ვიცნობთ როგორც ამხანაგსა, და წმინდის გულით უნდა ვაღვიაროთ, რომ ის მტერი არას ოდეს არა ყოფილა ჩუჱნი და არც არის, თუ რამე უთქვამს ქართველების ნაკლულევანებაზედ, ის სიყვარულისათჳს, რომ კეთილი სდომნებია, ეს არ არის მტრობა,-ეს არის მოყვრობა: მოყვარეს პირში უზრახე, ხოლო მტერს უკანაო! ქართული ანდაზა არის. ჩუჱნ დიდის ყურადღებით წავიკითხეთ ქელიხოვსკის ლექცია, და ბევრი სასარგებლო რამ გამოვიტანეთ. ის თავის ლექციაში უფრო მეტსა ლაპარაკობს, კავკასზედ ისტორიის მხრივ, მინამ განსვენებულს მამუკაზედ, რომელზედაც მოკლეთ წარმოსთქვამს ზოგი ერთსა იმის გულის კეთილს თვისებასა; სწორე მოგახსენოთ ჩუჱნ მოგვეწონა

იმის ლექციის შესავალი, სადაცა ლაპარაკობს, იმ მტრობის შესახებ, რომელიცა აღმოუჩინეს იმ მტრებმა ლექციის წაკითხვისავე წინათ; აი ეს შესავალი:

»მე მსურდა ყური დაგვეგდოთ გულის სიწრფელით და გრძნობით, ამის მოთხოვნა მე არ შემიძლიან; ჩემთჳს მხოლოდ საჭირო იყო იმ საგნისათჳს, რომელიცა აღმომირჩევია მე და ამისათჳს, მინამ წავიკითხავდე სუსტის კალმით გამონაცემსა ჩემსა შრომასა, ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვსთქჳა რამდენიმე სიტყჳა: ვიცი, რომ თვითან ეს წიგნი, რომელიცა ახლა წინ მიძევს და რომელსაცა ეწოდება «რუსი ქართველთადმი» ჰბადავს თქჳენში ეჭვსა; ვიცი რომ თ. მამუკა ორბელიანის სახელი, ყველასაგან ერთგვარად არ წარმოითქმის, არ წარმოითქმის ერთგვარის პატივის ცემითა; კაცსა ესა აქჳს სვედრად ქჳეყანაზედა: მინამ ცოცხლები ვართ, შურითაც გვიყურებენ, ბევრს ჭორს ლაპარაკობენ ჩჳენზედ და ბოროტად გვექცევიან, მაგრამ ბოლოს საფლავი დაანცხრობს ყველას; იმ დროს ყველანი გვირიგდებიან. ძველათგან ნათქვამია, მკჳდარზედ ან კარგი უნდა ილაპარაკოს კაცმა, ან არა და, სულ არაფერიო. მრიელა ვწუხვარ, რომ არიან იმისთანანი, რომელთაცა ეჭვი აქჳსთ ჩემს საქართველოს სიყვარულზედ, რომელიცა არის ჩემი სამშობლო ქჳეყანა»

»ბევრნი სხედხართ ახლა ჩემ წინ; ეს დიდი ზალა სავსე არის ხალხითა და ვწუხვართ, რომ ამ ზალის სიგანე უფრო მეტი არ არის, მე მსურს მაღლის ხმით

წარმოვსთქუა ჩემის გრძნობის და აზრის აღსარება; მე მსურს დავამტკიცო, რომ იმას არა ვფიქრობ, რასაცა ჩემზედა ჰფიქრობენ ჩემნი მოწინააღმდეგენი, ჩემნი არა კეთილის მყოფელნი; მე მსურს ხრწნილებითგან აღვამაღლო უკვდავებისადმი, მშვიდობიანი და უკეთილშობილესი მამუკა ორბელიანის სახელი, იქნება ეს ჩემი სურვილი ისეთი ღირსეული არ იყოს, რა ღირსებაცა ჰქონდა იმის სახელსა, რაც უნდა იყოს, მე უფრო მაღალი უფლება მაქვს ვსთქუა რამე თ. მამუკაზედ. ჩინებული კავკაზიის ომიანობა; გათავდა. ამ ომიანობაში ბევრი პატრიოსნური, ბევრი დიდი შემთხვეები მოხდნენ, არხივის საქმეებს ვერ შეუძლიანთ გადასცენ შვილის შვილთ მაღალი პოეზია იმ სიმამაცისა, რომლითაცა იდიდეს სახელი კავკაზიის გმირებმა. ამისათჳს საჭირონი არიან ცხადნი მოწამენი, საჭიროა პატრიოსანი ენა, მსურვალე, სწორე გული. აქ ამ ზალაშიაცა, მრთელს საქართველოში და რუსეთშიაც არიან კიდევ ცოცხალნი მოწამენი; ყოველს წელიწადს ყოველსა დღესა, საფლავი გვართმევს ძვირფასთა ვაჟკაცთა. უნდა-ვსთქუათ იმაზედ, რომელთაცა სისხლი დაუღვრიათ მამულისათჳს. მე რუსის სალდათის შვილი ვარ; მე მიყვარს ის შვილურის სიყვარულითა. რაც კი რამ მინახავს, რაც კი რამ შემიკრეფავს, დამიწერია, დიდი ხანი ვარდგენ კავკაზიის ომებში რაც გამოჩენილნი ვაჟკაცნი დახოცილან ანუ მამკვდარან,-იმათს ისტორიასა. უკეთუ საზოგადოების ყურადღების ღირსი შევიქნები, როგორც კაცსა, მე მი-

ხარიან, რომ ამას ვიწყობ სახელითგან მამუკა ორბელიანისა, რომელიცა იყო მეგობარი და ამხანაგი მამის ჩემისა. შემდგომს აწერილი მაქვს ცხოვრება ივანე მალხაზიჩ ანდრონიკოვისა, იასონ ჭავჭავაძისა და სხვაც, ახლა შეუდგები ჩემის შრომის კითხჳასა:»

თვითანვე ამბობს ამ წინათსიტყვაობაში ავტორი, საქართველოში ანუ ქართველებთან დამოკიდებულებას.-ქელისოვსკის სამშობლო ქჳეყანა საქართველო არის, სადაცა დაბადებულა და სადაცა აღზდილა და რა ჭკუაში მოსატანი არის, რომ ქართველები არ უყვარს.---სანიმუშოდ, რომ ქართველებმა კარგად გაიგონ ქელისოვსკის თხზულების ღირსება, გამოვწერთ ზოგი ერთს ალაგებს იქითგან და იმედი გვაქჳს ამის შემდგომს, ქელისოვსკის სხჳა თვალით შეხედამენ:

»29 ოკტომბერს, აღსრულდა, ხოლო 1 ნოემბერს, მიწას მიჰბარდა, სიონის სობოროში თავადი მამუკა თომას-ძეს ჯამბაკურიან ორბელიანი. უკანასკნელ მშვიდობიან სადგურამდინ, მიუძღოდა განსვენებულს წინ მაღალყოვლად უსამღჳდელოესი საქართველოს ექსარხოსი ევსევი, მრავლის სამღჳდელოთი. თან მიაცილებდნენ ორნი სომხის არქიელნი; მაკარი და სარქისა; მცნობნი და ნათესავნი განსვენებულისა. იმის კუბოს მიზდევდა არცა მუზიკა და არცა ჯარი, რადგანც ნეტარხსენებული უკანასკნელს დროში სამსახურში აღარ იყო. მშვენიერად მომღიმარე შემოდგომის დღე, რომლითაცა დავტკბებით საქართველოში მცხოვრებნი, უფრო რაღაცა

სამწუხარო შეხედულობას აძლევდა ამ დამარხვას. ცა იყო მოწმენდილი, მზე ნათლად ბრწყინვალებდა, ჰაერი იყო წმინდა, მთელი ბუნება სუნთქვიდა რაღაცა მხიარულებითა. ეს დღე იყო უკანასკნელი ტფილი დღე, საუკუნოდ განმავალის წლისა. განა რომ ამავე მხიარულებით სიამოვნებს, საუკუნოდ მიმავალი მართალი სული? მე სიყრმითგანვე ვიცნობდი განსვენებულსა, მიყჳარდა იმისი მშვენიერი, კეთილი სული; იმის მდაბიური, გარნა ნათელი გონება; იმისი მხურვალე გული, იმისი ვაჟკაცური ცხოვრება!!.. ..» აქ აღწერს იმის დაბადების წელიწადს დ̃ მოკლედ იმის აღზრდასა, რომელსაცა მოჰყვება მშვენიერად აღწერას, საქართველოს მდგომარეობისას; ერთის სიტყვით, ქელისოვსკი ეხება კავკასიის ისტორიას დ̃ გამოგვიხატავს ჩინებულის კალმით, რომელიც სავსეა ჰოეზიით:

»კავკასიის ბუნებამ, იმისმა გეოგრაფიულ მდებიარობამ დაჰბადა. ისტორიაში სამაგალითო შემთხვევა კაცობრიობის გამოჩენისათჳს, ისტორიულს დრომდისინ, კავკასი მიიზიდავა მრავალთა მრიელთა მითოლოღიის ღმერთითა. არა ერთხელ მოდიოდნენ აქ ახლოს მეოფნი მეზობელნი დ̃ შორის ქჳყნის მცხოვრებნი, მოსაპოებელად თავისუფალის ბინადრობისა.»

»კავკასიის ანბავს რომ დაწვრილებით გამოუდგეთ, ეს ამას ნიშნავს, რომ შევეხნეთ მთელი ხმელეთის ისტორიასა. აი რისათჳს არიან კავკასიაში, სხჳა დ̃ სხჳა ხალხის თესლნი,-არის სხჳა დ̃ სხჳა ქჳყნის სარწმუ-

ნოება და ენა. ვინცა შორს მხედველი და გონიერი კაცია, თვალი რომ დააკვირვოს ყურადღებით. კავკასში ჰპოვებს ყოველი ქუეყნის სახესა, ევროპიისას, თუ აზიისასა. ისეთი მდიდარი ბუნება აქუს კავკასსა, რომ ბოლოს მოელის ბევრს მაღალს და დიდს წარმატებასა. მაშ რისათჳს არის ესა, რომ ამ მშვენიერს ქუეყანაში კაცობრიობა წინ არ არის წასული განათლებით. ამას აგვიხსნის ისტორია და გეოგრაფია. კავკასი ისეთი ალაგი ყოფილა, რომ მრთელი სმელეთის ხალხს აქეთ გამოუწევიათ, რა არის ესარგებლათ რამე; მაგრამ ვინც კი მოდიოდნენ, ყველას უნდა დაეწყო ბრძოლა კავკაზთან, ისე რომ დრო აღარა ჰქონდა ეფიქრა კაცობრიობით წარმატებისათჳს. საკვირველს დიდს და მაღალს სურათს წარმოგიდგენს ქართველების ქრისტიანობრივი სარწმუნოება, რომლისათჳსაც იბრძოდნენ დაუცხრომელად, ათასის წლის განმავლობაში რა ტანჯვას არ გამოუვლია კავკასხა, ხან ჩავარდნილა ის მონგოლების ხელში, ხან სპარსეთისა და ხან ვინ იცის ვის ხელს არ მისცემია. უპირველესნი მოწამენი სარწმუნოებისათჳს, განვლნენ კავკაზიითგან, ბოლოს ამ ათასის წლის გამამავლობაში დატანჯულს, მიუვლინა ღნერთმან წმ. ნინო, «ნეტარ არიან მტირალნი, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ» ჩინებულად აღგებულს ეკკლესიებში, მთებში და ტყეებში აფარებდნენ თავსა, მტრისგან შერვეულნი ქართველნი. აბა მიდით და გასინჯეთ ერთ-ერთი ეკკლესია, აღშენებული რომელსამე მთებზედ, ანუ ტყეში

და, იქ იპოვნიდით ურიცხვთ საფლავებს, ქართველების ძვლებით სავსეთა; იქ განიკვირვებთ იმათ ქრისტესათჳს თავგაწირულებას. ღირსნი არიან, მივიღეთ და თაყვანი ვცეთ იმათ წმინდა ძვლებს. ისინი არიან უენო მოწამენი, თუ როგორ მკვიდრად მდგარან სარწმუნოებაზედ ქართველები, და როგორ უტანჯნიათ ათასის წლის განმავლობაში ჩუენის მაცხოვარის გულისათჳს......» აღწერს ისტორიულს საქართველოს მდგომარეობას და ბოლოს მოდის იქ, რომ რამდენი რუსის სალდათის სისხლით მოპოებული აქუს საქართველოს მყუდროება და მოსვენება;—ამას სწერს კარგად დახელოვნებულის და გამოცდილის კალმით: «ჩუენო ძმებო ქართველებო! მოიგონეთ, თუ რამდენის მილლიონს რუსისა სმინავს თქუენს მშვენიერს მიწაზედ და შეიყვარეთ რუსეთი, როგორც თავშეწირული დედა, ამისათვის, რომ მე ვიცი, თქუენს გულში ბევრი კეთილი ძევს თქუენის მამულისათჳს. მოთვალეთ ის დიდი, აურაცხელი საქმეები, რომელნიცა მამხვდარა თქუენს მინდვრებზედ; მოიგონეთ ის ვაჟკაცნი, როგორიც იყო თქუენი ვაჟკაცი ილია ორბელიანი, რომელნიცა დახოცილან თქუენის გულისათჳს. მე მიხარის, რომ გეუბნებით, ამ სასიხარულო სიტყვებსა, რა ვარ მე? მე ვარ სამოცდა ათ მილიონე ნაწილი იმ დიდის ხალხისა, რომლისათჳსაც სიცოცხლე ის არის, შესწიროს თავი პატიოსანის თავის სახელისათჳს..... ყოფილა დრო, როდესაც გაზაფხულის დღეს, გამოსულხარ ტფილისის

ერთს ქუჩაში, რა არის დავტკბე ლამაზის დღის ნახვითაო, უცებ მოგესმის ბარაბანის ხმა, ხმა რუსის სალდათის სიმღერისა და აი გამოჩნდნენ დამწკრივებული რუსის სალდათები, მაღალის სამგზავრო ჩექმებით, ბრწყინჳალეს თოფებით მხარზედ, ყოჩაღათ დახურულის ქუდებით. შეხედულობა აქჳსთ გამბედავისა, საით მიდიან ისინი? ყური დაუგდეთ იმათის სიმღერასა და პასუხს მოგიგებენ.

მივალთ ლეკებზედ საომრად
გვიძღვის წინ ორბელიანი
ჩჳჩნთა ძმებ ქართველებთათჳს
მზათა ვართ მოვკვდეთ სიკვდილით.
თეთრის მეფისა შვილებო,
ურა დაჳძახოთ ერთის ხმით,
ურა! ურა! ურა!

ამ სიმღერის ხმაზედ, ბევრჯელ გამოსულან ქართველები სახლითგან და უყურებიათ; ბევრნი გაჰყოლიან გასაცილებლად და დაულოცნიათ გზა.

»საკვირველი ჩრდილი კავკასიის ძველის სალდათისა მაკვირვებს მე. გხედავ შენ გამხმარსა, პირდაღმეჭილსა, მაგრამ ამპარტავანსა და დიდებულსა. შენი ვაჟკაცური შემოხედვა გულს მიღელებს მე. შენ არა გაქჳს სახლი, არა გყავს ცოლშვილი,- იქნება ერთი წიწილა შეინახო, ან ტრედი, ან ძაღლი ანუ კატა, კელი გადაუსო და იმითი* ინუგეშო, იმითი მოიკლა სახლოსნობის სიყვარულის ჟინი. არ არის შენთჳს იმისთანა

მუშაობა, რომელზედაცა უარი სთქჳა; არ არის იმისთანა საქმე რომელიცა არ იცოდე და არ აკეთებდე. დაჭრილის და მაზოლებიანის ჴელით გიგცევია კლდეები ამპარტავნის კავკასიისა; შენ გამოიყვან ხოლმე, რა დასჭრიან ომში, ზურგით, შენს მამას კამანდირსა, და დაუწყებ ალერსს, როგორც ყმაწვილსა თავისი ძიძა; დაუღალავად, ფეხით გასწევ დღეში თხუთმეტს, ოცს ვერს,-მერე თუ საჭირო იქნება, კიდეც იცეკვებ. ჴელს მოგჭრიან, მეორე ჴელით იბრძვი; ფეხს მოგაგდებინებენ, ცალის ფეხით მთებს გადაივლი, გრძელს მინდვრებს განვლი. არა ძნელს საქმეს არ შეეპუები და არა საშიშის შემთხვევისგან არ შეშინდები, მიადექი რომელსამე ხევსა, ზურგით ზარბაზანს გადაიტან..... საუკუნოდ იყავ სახსენებელი! დიდი დიდება შენ პატიოსანო რუსის სალდათო? მაგრამ ჩჳჱნ გაკვიტაცა აზრმა! შევიტყოთ საით მიდიან სალდათები, რომელიცა ახლა შეგვსდნენ ტფილისის ქუჩაში. მართლად სად მიდიან? იქნება საომრად. ახლა ვიფიქროთ რამდენი რამ მოსაგონებელი დაუტევებიათ რუსეთში: მამა, დედა, ძმა, და, ანუ შვილები? რამდენს საქმეს მოჰყვებიან? რამდენი მწუხარება დარჩენიათ? რამდენი ტირილი აქჳსთ იქა? აბა ვინ გაიგონა სალდათის საჩივარი ამაზედ? ისინი მორჩილებით მიდიან, სადაც უბძანეს და პატიოსნებითაც მოკვდებიან. დადგება ზაფხული, მოუთმენლივ მივარდებით ყოველ გაზეთის ნომერსა, რა არის შევიტყოთ: ვინ არის ცოცხალი? ვინ მოკლეს? ვინ დასჭრეს? ბევრი მხიარუ-

ლება და ბ҃რ ც მწუხარება მოაქვს. დადგება შემოდგომა, აი, ისევე მოდიან უკან მეომარნი სალდათები, ისევ ის სიმღერა, ის მხიარულება, მაგრამ რამდენნი გამოჰკლე-ბიან იმათ წყობას......»

აბა ჩემო მკითხველო, ერთს იმ გვარს კეთილს მოქმედებას შეიტყობთ ახლა, რომ ბევრი ჩუჱნგანი ვერ გაბედავს ამ გვარს საქმესა და აქედანა სცნობთ ღირსი იყო მამუკა, იმაზედ წაეკითხათ რამე საქუჱნოდ თუ არა? ვათქმევინოთ ეს თვითან ავტორს ჟელისოვსკის, როგორც თვით მნახველსა:

»1841 წელსა გავიარეთ მე და მამა ჩემმა კოდისა-კენ, სადაცა ვნახეთ რომ მამუკა იჯდა სტანციის ბალ-კონზედ საზაფხულო თეთრის ტანისამოსით, რასაკვრე-ლია, გვნახა თუ არა, მივეწვია საუზმეზედ. მოგვი-ტანეს მწვადები და დაუწყეთ კელით ჭამა, უცებ შემო-გვესმა ყვირილის ხმა: პატარა ქალი ჭაში ჩავარდა და იხვრჩებაო. ეს რომ შევიტყეთ . . . მაშინ გავიქეცით, მამუკამ ეს რომ ნახა, დაიწყო ფაცა-ფუცი, თოკიო, ჩქარა თოკი, იმახოდა ისა, ბევრი ეძებეს თოკი, მაგრამ თოკი ვერ იპოვნეს, არ იქნა არ ეშველათ, ხალხი კი ყვიროდა, ჩქარა, თორემ დაიხვრჩებაო, რომ გაჭირდა საქმე, მივარდა მამუკა, ნახა რომ ტოლჩა იყო ჩაკი-დებული, წვრილის და მველის თოკით» ივანე! უბძანა ერთს იქ მდგომს გლეხ-კაცსა კნიაზმა, მოდი შვილო, მოეჭიდე ამ თოკს და ჩაეშვი, ჩქარა ღუთის გულისა-თჳს.— გიჟი ხარ, დაუძახა ამ გლეხკაცის მამამ, რო-

მელიცა იქ იდგა,-გინდა თოკი ჩაწუდეს და დაიხრჩო შენცაო. ეს რომ ნახა კნიაზმა, გადაიძრო ზემოთ კაბა, მივიდა, მოეკიდა იმ მველს თოკსა და ჩაეშვა ჭაში. უნდა გენახათ თუ რა სიამოვნის და კეთილის სახით ჩაეშვებოდა ჭაში, საიდამაც ხუთ მინუტში ზურგით ამოიყვანა ცოცხალი ყმაწვილი და მოარჩინა სიკჳდილსა. რასაკვრელია კნიაზი მოსვრილიყო ქვემოთ ლაფში, რა წყალი ამღვრეულიყო, მაგრამ ყმაწვილი რომ სიკვდილს მოარჩინა, ეს იმას დიდ საუნჯეთ მიაჩნდა!!....

აბა ჩემო მკითხველო, აქ რა ვნახეთ საკიცხი ქელისოვსკისა? თუ მკითხავთ, წმინდის გულით უნდა ვაღვიაროთ, მადლობელნიც უნდა ვიყვნეთ, რომ უფ. ქელისოვსკი კარგსა და კეთილს ლაპარაკობს იმ ქართველებზედ, რომელნიცა ღირსნი არიან და რომელთზედაც არც ერთს სიტყვას არ ანბობენ ქართველები, თუ არ ისევე რუსი,-ცოდვა არის, მომაკვდინებელი ცოდვაა მტრობით ლაპარაკი იმ პირზედ, რომელიცა ცდილობს ქჳჱყნის სასარგებლოდ. ეს საკმაო იყოს, ამაზედ მეტის თქმას საჭიროდ არა ვრაცხავთ.

ი. კ.

17 დეკემბერს 1871 წელსა.

# მწუხარე დედას.

ჵი დედაო! ღრმად შეუცვიხარ მწუხარებასა,
მჩქეფარეს ცრემლსა, განუწყვეტელს მდუღარებასა;
ვიზედა სტირი, ვინ დაჰკარგე, მითხარი აბა,
ვისზედ ჩაგიცვამს შავი ძაძა, ეგ გლოვის კაბა?
სახე შენი ფერ მიხდილი გაფითრებული,
ღრმად ჩასცქერის დედამიწას დაფიქრებული:
ნეტა ვის ეძებ ამ უფსკრულში, ვისა შთაჰყურებ?
ვინ დაგეკარგა სანუგეშო, ვისზედა ჰგოდებ?
ნუ თუ დაეძებ პირმშოს შვილსა დედა ერთგული
და მასზედა ხარ დედაო, გამწარებული,
ნუ სტირ დედაო! უბედობის ჩამოჰკრა ზარმა
და წარიტაცა შვილი შენი სიკვდილმა-მწარმა,
მხოლოდ უმანკო გვამი მისი აქ შთანთქმულია,
რომლის საფლავზედ შენი ცრემლი გარდასხმულია,
მისი მძებნელი მისსა პოვნას ველარ შეხვდები,
განგებას ღჳთისას, ვითა სხვანი, ვერც შენ მისწვდები.
მაშ ნუ დასცქერი ნუ იბანვი ცრემლის გუბეში
და გცეს ზენამა მწუხარეო, თვისი ნუგეში!—

ილია ნატრაევი.

ქ. თფილისი.

## ასანა ლეკის თავს გადასავალი.

(თავისგანვე ნაანბობი.)

როდესაც შევიქენი ტანისამოსით ჩუხონი, რა ეშმაკიდა გამომიყვანდა შარა გზაზედ, როდესაც რომ ვიცოდი ახალი სალდათი, ქუეყანას შემიყრიდა და მრავალს სოფელს გამამიყენებდა, გავწიე და მივდიოდი უგზო უკვლოდ იმ ფიქრით, თუ ის ახალი სალდათი როგორ გააკვირვებდა თჳს სოფლელებს; დილით შინითგან გავიდა ჩუხონი და საღამოზედ შევიდა შინ სალდათი. მესამეს დღეს კიდევ გაველი სოფელში, მე სიბრთხილით დავათვალიერე იქაურობა, იქ სოფლის პირას შემხვდნენ სამნი მწყემსნი, რომელნიცა ცხვრებს აბალახებდნენ, მე მინდოდა მეკითხნა, თუ პეტ.რბურღში საით გზაზედ უნდა წავსულიყავი, მაგრამ არც ერთმა რუსული არ იცოდა. ვნახე გზის პირას რაღაც შენობა იყო დიდი, იქითგან გავემართე, სადაცა შემხვდა ორი დედაკაცი, და რომელთაცა მითხრეს, რომ ის შენობა იყო შუშის ქარხანა. იმათ მაჩვენეს პეტერბურღის გზა და ესეც მითხ-

რეს: თუ გინდა ჩუჱნ მოგვყევი, ჩუჱნც ახლა იქ პეტერბურღში მივდივართო. მე გავყევი იმათ, მაგრამ გზაზედ იმათზედ ეჭვი შევიტანე, რადგან იმავე სოფლისაკენ მიდიოდნენ, რომელს სოფელშიაც მე გამოვიარე, ეს რომ ვნახე, შევდეგი გზაზედ და რა ისინი თვალითგან მიმეფარნენ, იქვე ტყეში შეველი და დავიმალე. მაგრამ რომ ვიმალებოდი, უცებ შევეფეთე რუსის მუჟიკებს კაცებს და დედაკაცებს, რომელნიცა ისხდნენ და პურსა სჭამდნენ. ეს რომ ვნახე, შევდექი, იმათ ყურადღებით სინჯვა დამიწყეს, მეც ერთის კუთხისაკენ მიველი, დავჯექი და ჩემს ღარიბს საჭმელს დაუწყე ჭამა, უცებ თავს წამომადგა ერთი მაღალ მაღალი ჩუხონი და დამიწყო კითხვა ჩუხონების ენით, შენ რა კაცი ხარ, ვინა ხარ და სად მიხვალ? მე არ ვიცოდი ჩუხონების ენა. ის გაკვირდა და მითხრა, ჩუხონის ტანისამოსი გაცვია და ჩუხონის ენა კი არ იციო? მერე დამიწყო რუსულად კითხვა. მე უთხარი რუსი ვარ მეთქი, მაგრამ აქ სოფლებში მუშათ დავიარებოდი და ეს ტანისამოსი იმისათჳს მაცვია მეთქი, იმან ეჭვი შემოიტანა, თვალი ამავლო, ჩამავლო, დარწმუნდა რა რომ გამოქცეული ვიყავი, დამიყვირა ბძანებითის ხმით, ახლავე წამომყევიო, არა ძმაო მეთქი, ვიფიქრე, შენისთანა ჩურუქა კაცისა ასანას არ ეშინიან, არც შენისთანა ათი კაცი ეყოფა მეთქი,- ვიტაცე დანას ჴელი და მივარდი; ერთი ისეთი მუშტი შემოვკარი, რომ დაბარბაცდა და იქვე გადაიშხლარტა. — მე მოუსვი! რა გავიქეცი, მივიხედე, ვნახე, რომ კაცები

შემომეხვივნენ,-ერთი ცხენიანი კაცი უკან მამდევდა და რამდენიმე მუჟიკები წინ დამიხვდნენ კეტებით. მე შევდექი, ცხენიანი კაცი რომ წამომაგდა, თავის ჭკუაში, უნდა ავეყვანე და მიწაზედ დავეცი. მაშინათვე მე ცხენის სადავეს ხელი წავავლე, ციმციმ ავიყვანე მუჟიკი უნაგირითგან, დავეცი ძირს, ერთი კარგი წიხლი ჩავეცი, ერთიც დანა მხარში დავკარი. იმან დაიყვირა, გადამხლარტულს რა თავი დავანებე, მე შევახტი იმის ცხენს და უკანვე გამოვაჭენე ცხენი სოფლისაკენ, რა სოფელს გავცილდი, გადმოვხტი, ცხენს თავი მივანებე და მე შევარდი ტყეში. იქ დამალული ვიყავი რამდენიმე დღეს, გამოველი, დავადექი სწორე გზასა და მეორე ღამეს მიველი სოფელს ჰარგოლოვში.

იქ მე შეველი ერთს სახლში წუნარა, სადაც ყველას ეძინათ, იმათ რიცხვში იყვნენ სამნი სალდათნი, კუთხეში ვიპოვნე პური, ნახევარი მოვიტეხე და რომ გამოვდიოდი იქვე ყუთი დამხვდა კარებთან ღია, იმას ავხადე, ხელი მოვავლე, ვნახე ჩაი, შაქარი და ექვსი შაურიც შავი ფული. შაქარი და ფული ამოვიღე, დავლიე ერთი ქოთანი რძე და გამოვიტანე კალთით ორმოც და ათი კვერცხი, გამოველ, შეველი ისევე სოფლის ნაპირას ტყეში და შევისვენე, მეორე დღეს კიდევ გავმგზავრდი, მაგრამ გზაზედ, ქვებისაც კი მეშინოდა, ასე მეგონა, ისინიც დასაჭერად დამდევენ მეთქი.

ბოლოს მიველი ლიტოვსკის კაზარმებთან, არ ვიცოდი საით მხრისაკენ წავსულიყავი და რა უგზო

უკვლოთ ვეთრეოდი, წავაწყდი პეტერბურღის კუთხისაკენ; ის კალათით კვერცხებიც თან დამქონდა, მეც ჩუხონის ტანისამოსი მეცო, ერთი ვიღაც ჩინოვნიკი შემხვდა ქუჩაში და მკითხა: კვერცხებს ხომ არა ჰყიდიო? ჰყიდი მეთქი. იმან მიმიყვანა თავის სახლში, იქ გავრიგდით, მაგრამ რა ჩაჩერებით მიყურებდა მკითხა: ეგ ყველა კარგი, მაგრამ კეთილშობილის სახლში რომ შემოხველი, ქუდს რატომ არ იხდიო? მეშინოდა, სალდათურად გაკრეჭილი თავი რომ მქონდა, არ მიცნონ მეთქი. ამისათჳს არ ვიხდიდი ქუდსა და უთხარი: მე ჩუხონი გახლავარ და ჩჳენში ასეთი ჩვეულობა არის მეთქი. რომ ფული მომცა, მითხრა, კიდევ მოგვიტანდე კვერცხებსაო, მე შევპირდი და გამოველ.

რა ქუჩაში გამოველი. ვნახე ერთი მუჟიკი იჯდა სტოლთან და ყვიროდა, ვისა ნებავს კარგი შჩიო. დიდი ხანი იყო, ტფილი წვნიანი საჭმელი არ მეჭამა, მიველი და ვთხოვე ერთი აბაზისა დაესხა, იმან ბორჩის მაგიერად კვასი დამალევინა, რას ვეტყოდი, მეშინოდა. მივდიოდი და არ ვიცოდი, საით? კითხჳა ვერ შემეძლო, მეშინოდა, ან ვისთვის მეკითხნა, მცნობი არა მყვანდა, სად შემეფარებინა თავი არ ვიცოდი, ამ სიარულში, ცარიცინის მინდორს ეტყვიან იქ კი გავყავი თავი, იქიდგან სენნაში. იქ ორი თათარი შემხვდა, მიველი და დაუწყე თათრულად კითხჳა: ან საქართველოთგან, ან ოსმალოთგან, ვაჭარი ხომ არავინ არის მეთქი? იმათ მიმასწავლეს ერთი ვაჭარი და მკითხეს, სადაური ხარო?

თათარი ვარ მეთქი, უპასუხე. აგრე რისთჳს გაცვიაო? მე ჯერ შევხედე და ვკითხე: თქუჱნ კეთილნი სულნი ხართ მეთქი? დამარწმუნეს მაჰმადის სახელით, კეთილნი ვართო. რომ დავრწმუნდი, მაშინ მოკლედ, ორის სიტყვით უთხარი, ჩემი გარემოება. მაშინ იმათ მითხრეს, თუ სად იდგა ის ვაჭარი. როდესაც წაველი სამებნელად, დამავიწყდა სახელი სახლის პატრონისა, სადაც ვაჭარი იდგა, შევდეგი და დავიწყე ფიქრი, მაშინ მოვიდა ერთი ყიზილბაში და მითხრა: შენ ვიღასაც კითხულობო? მართალია მეთქი,-წავიდეთო და წამიყვანა ღჳნის სანაბრობაზედ. როდესაც მიველი, ის ვაჭარს თათარი ნამაზი ექნა და ლოცულობდა. როდესაც გაათავა, შემიძახა და მკითხა: რა გინდაო? მე მაშინათვე ფეხებში ჩაუარდი და უთხარი: ალლახის და ყორანის გულისათჳს, რომელსაცა ახლა კითხულობდი, დამიფარე და ნუ დამღუპავ, ჩუჱნ ერთის სარწმუნოებისანი ვართ. შემიბრალე და შემიწყალე! მე უანბე ყველაფერი და ვსთხოვე მოეცა ღონის-ძიება, ან საქართველოში წავსულიყავი, ან ოსმალეთში, ის ჯერ დაფიქრდა და მერე მომიგო.» ჩემს თავს დაღუპით დავღუპავ, მაგრამ შენი შველა კი არ შემიძლიანო. მაგვარი ღონის-ძიება მე არა მაქუჱსო. მე გაგატან ყმაწვილსა, ის მიგიყვანს ერთს ვისმესთან, ის აქ სამსახურშია, შენის ქუჱყნისა არის და იმას მოელაპარაკეო, ორჯელ თავი გაიქნია, ათი შაური მაჩუქა, ყმაწვილი გამატანა და გამისტუმრა.

როდესაც მიმიყვანა, ყმაწვილი გამოვაბრუნე, როდესაც შეველი ოთახში, იქ ვნახე სამი ლეკი. ერთი იმათგანი სქელი კაცი იყო, იჯდა და ჩონგურს უკრავდა, იმათ შემომხედეს მე და მკითხეს: რა გინდაო? მე უპასუხე, შევიტყვე მოსამსახურე გინდათ და მოველი ხომ არ დამიჭერთ მეთქი? იმათ გაიცინეს და შექნეს ლეკურად ლაპარაკი, ლეკური ლაპარაკი რომ გავიგე, სიხარულით გული გადმომიბრუნდა. მოდი თვეში ორი მანეთი მივცეთ ჯამაგირიო, სთქჳა ერთმა: თუ დადგება, დაეხსენ იყოსო, რას გამოვვართმევთ? რასაც სხჳას აძლევთ, მეც ის მომეცით მეთქი და თუ მოგეწონებით, მაშინ იქნება მეტიც მამცეთ მეთქი, ამას ვლაპარაკობდი, მაგრამ თვალ მოუშორებლივ მე სულ იმას უყურებდი, ვინც ჩონგურს უკრავდა, დიდი ხანი იყო ჩონგურის ხმა არ გამეგონა და ჩემს გულს უნდოდა ტირილი: რას გვიყურებო, მითხრეს იმათ, კარგა უკრავს მეთქი, უპასუხე მე, ეგრეთი კარგა დაკვრა არსად გამიგია და ნება მიბოძეთ დავმღერო მეთქი: იმათ თქვეს ერთმანეთში: აი სულელი! მოვიდა თუ არა, რაღასაც ტუტუცობას ლაპარაკობსო, მაგრამ მაინც იმღეროს, ვნახოთ რას იმღერებსო, რუსულად მითხრეს, იმღერეო! მე დავდე ჩემი ჩუხონის შლიაპა ჰოლზედ, მოვიკეცე ლეკურად. ერთი ჩავახველე და დავიწყე ის სახალხო ლეკური სიმღერა, რომელსაცა ხშირად ანბობენ ჩჳენ მთებში,-ეს სიმღერა ნათქვამია, ერთის ხანის შვილზედ, ეს რომ შეიტყეს, ჩონგურის კვრას თავი დაანებეს და ყურადღებით დამიწყეს სინჯვა.

როდესაც გავათავე სიმღერა, რომელიც უფროსი იყო იმათში, მოვიდა, მხარზედ ჴელი დამადო, თვალებში ჩამაჩერდა და მითხრა: ჩემო ძმაო, ვინა ხარ შენ და როგორ მოხველ აქა? ეს ოთხი წელიწადია აქა ვართ და შენისთანა კაცი არ გვინახავს. მე მიუგე, რუსულად მელაპარაკეთ, მხოლოდ სიმღერა ვიცი ლეკური მეთქი. იმათ მომიგეს: ძმაო ნუ ხუმრობ, სახეზედ გეტყობა ცხადად ლეკი ხარ და მაგ ტანისამოსში რათა ხარ და ან აქ რამ მოგიყვანაო. მე ვკითხე: გაგიგიათ როდისმე ყუბაში ჯიღითა-ასანას სახელი მეთქი? როგორ არ გაგვიგიაო, ჩუენ დროს დაიჭირეს ისა და ციმბირში გაგზავნესო. თითონ ის ასანა გიდგათ წინა მეთქი. მერე დაწვრილებით ყველა უამბე.

იმათ ჯერ იფიქრეს, მერე შევებრალე და თქუეს: ტყუილად მოსულხარ ძმაო და მეგობარო ჩუენთან; ჩუენ შენი შველა არას გზით არ შეგვიძლიანო, ჩუენ აქ სხუა ქუეყანაში ვართ, სხუა მდგომარეობაშიო, ამას გარდა ფიცი მიგვიღია, უნდა ვემსახურნეთ ერთგულად და პატიოსნათაო, იმათში ვინც უფროსი იყო, დაუმატა: მეგობარო და ჩუენო ძმაო, აქ რისთჳს მოსველი? შენ ახლა ჴელმეორედ დაიღუპე, მე შენი აქედან გაშვებაც არ შემიძლიანო, უნდა ახლავე მთავრობასთან წარგადგინო, მეორეებმა დაუწყეს ჩემთჳს თხოვნა, მაგრამ თქუენ არ მომიკუდეთ, ყურიც არ შეიბერტყა, არ შემიძლიან, სთქუა, გულზედ დაიკრა ჴელი, მივიდა ფანჯარასთან და ზურგი შემომაქცია, ერთმა იმათგანმა ჴელი ამიქნია და მეც სისწრაფით კარში გამოვარდი.

მაგრამ, როგორცა სჩანდა, ჩემი ანბავი წინათვე იცოდა მთავრობამ, მინამ ამ ლეკებთან მოვიდოდი, ვიღასაც შეეტყობინებინა ჲ ეს ვიღაც ის ვაჭარი ყიზილბაში იყო, რომელმაცა ათი შაური მაჩუქა ჲ უმაწვილი გამომატანა, ამისათჳს რომ მამოვარდი, იქვე კარებში შემეფეთა ერთი აფიცარი რამდენიმე ყასახებით, მე უთხარი აფიცარს, მე ერთი საწყალი კაცი ვარ, მუშად დავიარები, მოვსულვარ საქართველოთგან, ერთს ვაჭარს მოვყევი ჲ ახლაც იმასთან ვდგევარ მეთქი. სტყუიო! შენ ასანა ხარო, შენ მრთელი ყუბა გიცნობსო. სალხი გარშემო შემომეხვია, უბრძანა ჲ შემიპყრეს.

აქ მოიჭრნენ ზოგნი ერთნი ყიზილბაშები შემთხვევით მოსულები სავაჭროდ ჲ დამიწყეს კითხუა, მე ჩუმათ ვიყავი, რაო მეგობარო, რატომ პასუხს არ მოგვიგებო, ჩუენ გვებრალები ჲ კეთილი გვსურს შენთჳსაო, მე მიუგე; არა, აქ თქუენგან კარგი ჲ კეთილი არა იქნება რა მეთქი. ჩემმა ერთ ქუენელმა რომ ვერ მიშველეს, თქუენი თანამოძმენი, რომელთაცა ყუბაში გამეიდეს, აქ ვერ მიშველიან მეთქი.

ამ დროს მოვიდა აფიცარი საწერელ კალმით, ქაღალდით ჲ დამიწყო ალერსით კითხუა: მითხარი საყვარელო მეგობარო, სად იყავი გაგზავნილი, რისთჳს, ან აქ რათ მოსვედი? სწორეთ თუ იტყვი გეპატივებაო, მთავრობასა ვთხოვ შენთჳს გაპატიოსო, მე ჩუმათ ვიყავი ჲ პასუხს არ ვამლევდი, ის მალას მატანდა, ბოლოს მოთმინებითგან რომ გამომიყვანა, უთხარი; მე

ჩემის ხვედრისა არ მეშინიან, თუმცა ეს მესამედ ვიღუპები ჩემის თანამოძმეების წყალობითა მეთქი, მაგრამ კვეხარა კაცი მრიელ მეჯავრება, შენი მთავრობასთან შუამავლობა ერთ გროშათ არა ღირს მეთქი, მაშ შორდი თავითგან, შენ პასუხს არ მოგცემ, სადაც ალაგია იქ მიმიყვანე და იქ მე ვიცი მეთქი.

მერე მოვიდნენ ჩემნი ერთქრისტიანელნი, არაყი და საჭმელი რა მოიტანეს, მთხოვეს მეჭამა, არაყზედ უარი ვთქვი და პურ მარილზედ უარი არ მითქომს. ერთი ნაჭერი პირში რომ ჩავიდე, ცრემლები წამომცვივდა თვალებითგან, გული ამიდუღდა და ვერ შევიძელი ჭამა. ამაზედ შევებრალე ჩემს ერთქრისტიანელებს და სთქვეს: დაღუპა არის, ერთად დავიღუპეთ, რა ნამუსით უნდა მივიდეთ ჩვენს ქრისტიანაში, რომ ერთი კაცი ვერ დავიფარეთო, ავდგეთ და ეს ყარაულები გავწყვიტოთო, მე არა ვქენი.

ჩემს ბედობაზედ მოვიდა ნაჩალნიკი, წამიყვანა თავისთან და შუადამემდის მელაპარაკებოდა, მე მივხვდი, აქ აღარა შემეძლებოდა რა, კაცი ქინძისთავი ხომ არ არის, იმან გამგზავნა პოლიცაში, სადაცა ჩვენებაში ვაჩვენე, რომ მე ვიყავი ლეკის ტყვე, წამოყვანილი მაშინ, როდესაც რუსები ყიზლარს იღებდნენ; გზითგან გამოვიქეცა, არ ვიცი სად მივყვანდით, საიდგან გამოვიქეცი და სადა ვარ მეთქი.

პოლიცაში სამი თვე ვიჯექი, ჩემთან ერთი ტუსაღი იყო, მშვიდობიანი, ღვთის მოყვარე და შემძლებელი,

ჩუჱნ დავმეგობრდით, იმან დამიწყო რუსულის წიგნის სწავლება და მარიგებდა, თუ როგორ სასიამოვნო არის ღუთისათჳს ქრისტიანობრივი სარწმუნოება. აქ პირველად გამიელუა თავში აზრმა, რომ მოვნათლულიყავი,-აღუთქვი ღმერთს, ოღონდა ერთს სწორე გზაზედ, მშვიდობიან ცხოვრებაზედ დავდგე ღმერთო, და ქრისტიანი შევიქნები მეთქი. სიღარიბე, მთებში თრევა, მოუსვენრობა შემძულდა; რუსეთში ვიგრძენი, რომ კაცი არ უნდა ცხოვრებდეს ისე, როგორც პირუტყვნი ცხოვრებენ.

მე აქ პოლიცაში მშვიდობიანად ვიქცეოდი და პრისტავს შეუყუარდი. ერთხელა ვთხოვე პრისტავს, ეთხოვნა ეფენდისათჳს ჩემთან ევლო, ეფენდი რომ მოვიდა, პრისტავმა უთხრა: მე მებრალება ეს კაცი, ამისთანა მშჳდობიანი და კეთილი ტუსაღი არ მინახავს, თქუჱნ ბევრი მცნობნი გყავთ, გცადენით ამისათჳსაო, ამისი გამოშვება შეიძლება, როგორც ტყუჱ ლეკისაო, თუნდა თავდებით, აქ უცხო ქუჱყანა არის სად წავაო, ეფენდიმ უპასუხა; ჩუჱნ ახლა პრაზნიკი მოვდის, სტუმრები მეყოლებიან და ეგეც გამოუშვიო, პრისტავმა ეს აღასრულა, ეფენდიმ ჩამაცო ჩერქეზული ახალი ტანისამოსი, მომცა ფული და პრისტავს უსაროდა ჩემს მაგიერ, როდესაც მივლი ახალის ტანი სამოსით, ამის შემდგომს მალე გამამიშვეს თავდებობით, ერთის თჳს. შემდგომს კიდევ დამიბარეს, მიველი, რამდენსაც მიშვებდნენ, პატიოსანს სიტყუას ვაძლევდი და თავის ვადაზედ

მე თითონ გამოვცხადდებოდი ხოლმე, მერე გამგზავნეს სწავალში, იქ ვიჯექი სამი თვე, ბოლოს საქმე ასე გათავდა, თუ ჩემი ერთქუეყნელი მიმოწმებდნენ და ჴელს მომიწერდნენ, რომ მე სწორეთ ყიზლარიდგან ვიყავი, სრულებით უნდა გავენთავისუფლებინეთ, იმათ არ მიმოწმეს, თუმცა ვებრალებოდი, ამისათჳს რომ თათრული, სპარსული, ოსმალური და ლეკური ენები იცის, რა შესაძლებელია ნამდვილი იყოსო, მე გამგზავნეს რომ არვინ მიმოწმა ციხეში, არ გაუვლია დიდ ხანს, გამოვიდა მანიფესტი, ბევრი ტუსაღები გამოუშვეს, მაგრამ მე კი არ მეშველა, ამისათვის რომ იმ ტუსაღებს არ ვეკუთვნოდი, რომელნიცა დაჭერილნი იყვნენ სამოქალაქო დანაშაულისათჳს. პლაც მაიორს ციხისას ვებრალებოდი და ბევრჯელ დაჩაგვრისაგან მიხსნოდა.

ასე გავიდა კიდევ შვიდი თვე და მერე გადამცეს სამოქალაქო სამართალსა, რა გადამიყვანეს ქალაქის ციხეში, სადაცა კვირაობით დადიოდა, ერთი მადლიანი დიდი კაცი და ტუსაღებს ურიგებდა საღმრთო წიგნებს წასაკითხავად. ცუდად რომ ვიყავი, წიგნი ვიცოდი და დაუწყე ყურადღებით კითხვა. მინამ ამ საღმრთო საქრისტიანო წიგნებს წავიკითხავდი, სულ ის მქონდა ფიქრად, რომ ვინიცობაა მოვსულიყავი ჩემს ქუეყანაში, გადამესადა ჩემის მტრებისათჳს და სისხლი ამეღო, ეს წიგნები რომ წავიკითხე, გონება ნათელი შემექნა, ამ გვარი ბოროტი ფიქრები სულ ჩამომეხსნა. ეს სისხლის აღება, მტრობა და გადასდა ჩემში სრულებით გაქრა,

მე მებრალებოდნენ ჩემი მტრები, იმათი ცოდვა სულ მე ვიკისრე და თითქოს ზურგითგან რაღაც ტვირთი მომეშო მეთქი, როდესაც ეს მღჳთიური გრძნობა ჩემში შევნიშნე, გადაწყვეტით ვთქვი: უნდა მოვინათლო მეთქი!

იმ დიდ კაცმა, რომელიც იქ დადიოდა, ეს რომ შეიტყო, ერთს კვირა დღეს, სხჳა უფრო თავიზედ დიდი კაცი მოიყვანა, რომ გამამიმახყეს, დიდ ხანს მელაპარაკნენ, ბოლოს მაქეს და აღმითქვეს, აღესრულებინათ ჩემი სურვილი. პირველი დიდმარხვის კვირა იყო, რომ ის ორნი დიდ კაცები მოვიდნენ, შემიყვანეს ცისის ეკკლესიაში, ის ორნივენი ჩემი ნათლიანი იყვნენ და მომნათლელს.

იჳლისის თვეში დამიბარეს უგოლოვნის პალატაში, სადაცა წამიკითხეს განაჩენი, რომლით საუკუნოდ გამანთავისუფლეს და შემეძლო საცხოვრებელი ალაგის ამორჩევა,

გამოველ გარეთ, მივიხედე, მოვიხედე და მე თვითანვე მიკვირდა თავისუფლობა. მე მეგონა, ვინც კაცი შემხვდებოდა, დასაჭერად დამდევს მეთქი. მე წაველ ჩემ კეთილის მყოფელ ნათლიებთან, იმათ მომრთეს ჩინებულად, მომიჩინეს კარგი მსწავლებელი, რომელიცა მასწავლიდა ევროპიულად ქცევას, მართალია მალე ვერ ვისწავლიდი.

როდესაც მნახეს, ჩემმა ნათლიებმა ჭკუა გახსნილი კაცი, იმათთან ერთი პოლკოვნიკი დადიოდა, იმასა სთხოვეს, იმან მაშინათვე არზა დამაწერინა, რომ მივე-

ცი გამამწესა ცხენოსან ჯარში, სადაცა მოკლე დროში შევიქენი იუნკერი, ჩემო კეთილო მკითხველო, ჯერ ეს საკმაო არის, ზოგს ჩემ თავს გადასავალს რუსეთში მერე გიანბობთ, უკანასკნელ ერთსღა მოგახსენებთ, რომ მთის კაცი, ის გავარდნილი ასანა, რომელიცა ამღობდა ღარიბებს და მშივრებს, რომელსაცა ამდენი ტანჯვა გადახდა, ახლა გასლავართ აფიცრის ჩინში, ღმერთო შენ განავრცელე ქჳეყანაზედ ქრისტიანობრივი სარწმუნოება!

დასრულდა.

# ნარევს-ნარევი.

ჩემო მკითხუელო, რასაკვრელი ეს ლექსი ნარე-ვს-ნარევი» გეჩვენება უცნაურად,-მაგრამ რა ვქნათ, «დროებამ» ბევრი იმ გვარი ლექსები გაგვაცნო, რომ ფიქრათაც ძნელი მოსატანი არის, ქართულს ენაში ყო-ფილიყოს ოდესმე, რა უყოთ, შევესწარით ამ დროებას. ღმერთო შენ დაგვიხსენი ამაზედ უარესისაგან; დროე-ბის № 47 ნომერში, რაღა ეჭვი უნდა, ამ წელიწადს, წავიკითხეთ »ნარევი»; წავიკითხეთ და იცით რა მომა-გონდა? ჩუენი დარიის მონასტერის ეკკლესია, სადაცა თუ უნახავს მკითხველს დასავლეთის მხრივ კედელზედ, ძველადგანვე ჩუენს მამაპათ დაუტანებიათ, ჩუენი მაცხო-ვარის სიტყვების აზრი,-ეს დიდი და უმშვენიერესი სიტ-ყვები; ეს აზრი, ეს სიტყვები გამოუხატავთ ორ მოქ-მედ პირად, აი როგორ: იქ დახატულია, ცალ მხარე-ზედ ერთი ყმაწვილი წვეროსანი და მეორეს მხრივ, მხცოვანი თეთრ წვეროსანი. პირველს, ესე იგი ყმაწ-ვილს წვეროსანს თვალში, ერთი საშინელი, დიდი მე-ლი, ანუ გამორკვევითა ვსთქვათ, დიდი სახლის საკო-ჭე, გინა საპოლე ხე ამოსვლია, ისე ამოსვლია, რომ

ღმერთმა დაიფაროს ყოველი ქრისტიანი, არა თუ კაცს, დიდს ცხოველს სპილოს რომ ეცეს, ლუკმა ლუკმად აქცევს; მეორეს, ესე იგი, მოხუცს ამოსვლია თვალში პატარა ფრთა ისე, რომ ნიავის შემობერვით, საცაა მოსწყდება.- ეს არა ფერი, მაგრამ ამ გამოხატულებაში დიდი აზრი სძევს,-იმ ყმაწვილს კაცს, წვეროსანს, დაუნებებია თავი იმ საშინელის მეგლისათჳს, გაუწვდია ხელი, იმ მცირე ფრთიანისათჳს თვალში, მასხარათ იგდებს და ეუბნება: კაცო, რა ღმერთი გაგიწყრა, რატომ ემაგ ფრთას თვალითგან არ ამოაღებინებო, ის უპასუხებს, შენ ყოვლად უბედურო, ემაგ საშინელს, უშველებელს მელს, შენს თვალში ვერა ხედავ, და ჩემს თვალში მცირე ბუნბულს ეძიებო? სწორეთ ეს არის, სწორეთ ის ყმაწვილი წვეროსანი ჰგავს დროებაში დაბეჭდილის ძველ ხელნაწერის ავტორს. არავინ იფიქროს რომ ჩუჱნ ვესარჩლებით რომლისამე მიზეზით ქალებს, მხოლოდ ჩუჱნი აზრი ეს არის დაუმტკიცოთ იმ უფალს, რომ დიდად შემცდარია და რაც რამ უთქვამს, ეს აზრები მიეწერებათ მამაკაცებს, ვიდრე დედათა სქესთ. აი როგორ; ანბობს «არ არის ეჭვი იმაში, რომ დედაკაცი მშვენიერი, ნაზი და მშვიდი არის, შექმნილი სატად და მგზავსად ღუთისა, როგორც მამაკაცი..... ამის გამო ხალსის უცოდინარობით დაცემული დედაკაცი, ახლა ფეხზედ წამოყენებას, გაუმჯობესობას და მამაკაცთან გათანასწორებას აპირებს...... ზოგი ერთები კი ამას ანბობენ, რომ დედაკაცი არამც თუ მშვი-

დი, თავისუფალი, შექმნილი მგზავსად და ხატად თვისად, როგორც მამა კაცი, არსებააო, არამედ იგი არის უგუნური, უწმინდური, ბოროტი და არა მონაწილე კაცისა, არც ამ ქჳ̂ეყანაში და არც იმ ქჳ̂ეყანაშიო!.» ისე როგორ დაეცეს კაცი, ისე როგორ უნდა დაეცეს იმისი გონება, ისე როგორ უნდა შეიბილწოს, რომ ასე აურიოს აზრი, იმისათჳსაც დაურქმევიათ ნარევი, რომ ასე ავტორს აურევია, რომ ასე ეწინააღმდეგებიან თავისი აზრები, თავისავე აზრებსა.

ყოვლად უბედურო, თუ ქალი არის მშვენიერი, თუ ქალი არის ნაზი და მშვიდი არსება, შექმნილი ხატად და მგზავსად ღჳ̂თისა, მაშ ისა ყოფილა მღჳ̂თიური ქმნილება.—რა არის მღჳ̂თიური ქმნილება? ღჳ̂თიური ქმნილება მიეწერება იმ არსებას, რომელშიაც მოიპოება ყოველი კეთილი. ამაზედ მეტი კეთილი რაღა იქნება? მშვიდი, ნაზი, წყნარი და სხ, მაშ თუ ასე არ არის, აქ ასე აღამაღლებ ქალსა და იქავე ისე დასწევ, რომ ყოველ ცხოველზედ დაბლა აყენებ »დედაკაცი არამც თუ მშვიდი, წყნარი, შექმნილი ხატად და მზგავსად ღჳ̂თისად, როგორც მამა კაცი არსებაა, არამედ იგი არის უგუნური,, უწმინდური, ბოროტი და არა მონაწილე მამა კაცისა, და სხჳ̂ა!» თუ ქალებს არა აქჳ̂სთ უკვდავი სული, თუ ისინი არიან მორიელები, სატანის მეგობარნი, შეურიგებელნი მტერნი თანხმობისა, ოჯახის დამღუპავნი და თჳთ ურგებელ ქმნილებანი, მაშ ევროპა, რათ აძლევს კელსა აღმორჩევებში.

ის ვიღაცა ავტორი ანბობს, ვითომც პეტრესათჳს სამჯერ უარი ეთქმევინებინოს, ერთს ქალს, ეს არი მნელი, რომ არც საღმრთო წერილი სცოდნია იმას. როდესაც ქრისტე დაიჭირეს, იმ ღამეს პეტრე მოციქული ცეცხლთანა თბებოდა, ერთმან ურიათაგანმა სთქუა, ესეც ქრისტესთაგანი არისო, პეტრემ უარყო; მეორემ კიდევ სთქუა; ესეც ამათაგანი არისო; მესამედ ერთმა ურიათა კაცმა სთქუა იგივე სიტყუა; ესეც ამისიაო; ახლა ესა ვსთქუათ პეტრემ რომ უარი სთქუა, ქალი იყო მიზეზი? ან რა საბუთად არის შემოსატანი აქ ქალი? ქალს რა ბოროტება აქუს აქა და ამითი განა შეიძლება, საზოგადოდ ცუდი ვთქუათ ქალზედ?...

თუ ქალი არ იყოს, გარწმუნებ კაცი ერთს დღესაც ვერ შესძლებდა იმ ტანჯვას ათას ნაირს, რაც ტანჯუა მოსდევს ოჯახობას. უწყლოთ ხე გახმება; უქალოდ კაცი დაჭკნდება? ვინ არის ოჯახობის მომლელი? ქალი. ვინ არის შვილების აღმზრდელი? ქალი. ვინ არის შემკვრავი ოჯახში? ქალი. ვინ არის, რომ კაცი საღამოზედ მოვა შინ დაღალული და ყველა მზათა ხვდება? ქალი. ვინ არის რომ შვილებსა ზღის და საზრდოს აღლევს ყმაწვილებს ვიდრე მოიზდებიან? ქალი, ქალი, ქალი! რა შევვიძლიან უქალოთ? არაფერი! თუ სადმე მოიპოვება მაღალი ზნეობა, ეს ზნეობა არის ჩუენს საქართველოს ქალებში; ვისაც წაუკითხავს ფრანცუზის გამოჩენილის მწერლის დებუას მოგზაურება კავკაზის მხარეზედ 1838 წელს, ის ნახავს, თუ რა ნაირათ აქ-

ებს ჩუენს ქალებს თავის მოგზაურობაში; ის გაკვირვებულია, თუ როგორის მაღალის ზნეობით არიან შემკობილნი ჩუენი ქალები და აძლევს უპირატესობას უცხო ქუეყნის ქალებზედ; იმას უკვირს, როდესაც დილითა ხედავს ბალკონზედ, რომელიცა გადაჰყურებდა ბაღისაკენ, დაჩოქებულს ღუთის მშობლის წინ, მეგრელიის მთავრის მეუღლესა და გულ-მხურვალედ მლოცველსა რამდენიმე საათს; ის ამასთანავე გაკვირვებულია, ქალების ჴელთ საქმესა და სხუა ოჯახობის პატრონობაზედ.—

ჩუენ ვფიქრობთ და კიდევ ვერ მოგვიფიქრებია, თუ რა ყოფილა მიზეზი, რომ ასე უშესაბამოთ მოუხსენებია ჴელ ნაწერის ავტორს ქალები? მაგრამ, არა, როგორც სხუა შემთხვევებში, ისე ყველგან უბედურები არიან ქალები, რას აშავებენ საწყალობელნი. ჯერ, მინამ თხუთმეტის წლისა, ანუ თექვსმეტისა, გინა ვსთქუათ ოცისა შეიქნება, დადის უთქმელად სწავლაში; საითაც გაისტუმრებს მშობელი, მზათ არის წავიდეს, ღმერთმანი ურჩობას გასწევს; მერე გამოვიდა თუ არა სწავლითგან, ათხოვებენ; აქ რასაკვირველია, ახალი ცხოვრება იწყობა იმისათჳს; ეს მეორე აკვანი არის, რასაც ნახავს, აქ იმას ეჩვევა, თუ კარგი ზნეობა შეიცვალა, ამისი მიზეზი არის ქმარი და მაგალითებიც ბევრი გვიძევს წინა; იმდენი ჩუენს საქართუელოს შველა, რამდენს ზოგი ერთი მაღალზნეობით სრული ქალი, იტანს ქმრისაგან უსამართლოებით ცემასა, ტყეპასა და ლანძღვასა·

აქ რომ წახდეს ქალი და გაბედოს რამ ავი, იტყვიან, ქალი ცუდი არისო; იმდენი ჩუჱნს ქართულს ენას შეე-ლა, რამდენს ამ უბედურებას ითმენს ცოლი, არას ანბობს, და რცხვენიან ხალხისა, რა არის არ გამკიცხონო, და ამდენს ტანჯვას ითმენს. ახლა დაორსულდება, ცხრა თვეს ტანჯვით ატარებს თავის ცხოვრებას, მერე ტანჯვითა შობავს; ტანჯვითა ზრდის და თან ოჯახს ეხმარება, რაც კი შეუძლიან საწყალობელს და, მადლობის მაგიერ, მივუოლივართ და ცუდის ლექსებით ვიხსენიებთ.

ამერიკის ქალებს რომ აქებენ, ჩუჱნი ქალები იმათზედ თუ არ მეტნი, ნაკლებნი არ არიან. მაგრამ ჩუჱნ საუბედუროთ იქ უფრო მეტი პატივი აქუსთ, ვიდრე ჩუჱნს ქალებს ამისათჳს, რომ იქ კაცებს ესმით ქალების ფასი და ჩუჱნს ქუჱყანაში კაცები იმ სისრულეზედ ვერა დგანან, რომ ფასი იცოდნენ იმ ქალებისა, რომელნიცა არც ნიჭით, არც ზნეობით და არც სხვით, ჩამოუვლენ ევროპიის ქალებსა. ჩუჱნ ვიცით, ერთი კარგი ჩინებული და პირველი ოჯახის კაცი, შეძლების პატრონიცა, რომელსაცა მოუკვდა ცოლი და დარჩა რვა შვილი, რომელიცა თავსა და ბედს იწყევლის, ნეტავი მეც ჩემს ცოლთან მომკვდარიყავიო; რომ მცოდნოდა ასე დამაკლდებოდა, პირველადვე მე მოვიკლავდი თავსაო. აი ქალის ღირსება; ნახეთ რომ ქალს ღირსება ჰქონია დიდი ოჯახობაში; თუ იტყვით განათლებულნი არ არიანო, რას ემასით განათლებას? რისთჳს არი საჭირო განათლება? რისათჳსა ვზდით

შვილებს სასწავლებელში? მე მეტადა ვრაცხ თავი ვაწ-
ყინო მკითხველებს, მხოლოდ ამის მეტს ვერას ვიტყვი,
რომ ეს განათლება, ამ განათლების მოპოების სურ-
ვილი, სულ დაფუძნებულია ლუკმა პურზედ; სულ ტყუ-
იან. მაშ თუ ლუკმა პურისათჳსა ვცდილობთ, აბა ვი-
ფიქროთ ამ შრომაში ჩუენი ქალები, საწყლები, მრი-
ელ გვეხმარებიან თუარა? მე გარწმუნებთ, ის არის
გამფრთხილებული ჩუენის შემინებულისა; ის არის
გამპატიოსნებელი ჩუენის შრომისა; ესენი რომ არა
გვეყავდნენ, ჩუენს ცხოვრებას ერთს დღეს გავათავებდით.
აბა ახლა ავიღოთ მაღაზიები, რომელნიცა სავ-
სენი არიან ქართველ ქალებითა, ესენი სკერიან, კერა-
ვენ და ათას გვარს კელთ-საქმეს აკეთებენ; აქედგან ვი-
ფიქროთ რომ, დახლებში სხედან და ვაჭრობენ; მდაბიო
ქალები, არა შრომას არა ზოგამენ, ოღონდა არ-
გონ რამე თავიანთ სახლსა. ჩუენ ვიცით კარგი საპა-
ტიო ოჯახი, რომლის რძალი ისე მოქმედებს ოჯახ-
ში, რომ რამდენიმე ალაგს სახლები დაუდგამ ქალაქ-
ში, საიდან? აქედან რომ დღიურის ცხოვრებაში, შეი-
წროებულა, რა არის საბოლავო იყოს, რა გადაუდვია თა-
ვის ქმრის ჯამაგირითგან თვე და თვე რამდენიმე ნა-
წილი; ქმარს მხოლოდ სამსახურში უვლია. აი ქალი.-
რომა ბმანებენ კაცში ათასში ერთი ვპოვეო და ქალში
არც ერთიო, ჩუენ კი ამას ვიტყვით, ქალში ათასში
ბარე ასიცა ვპოვეთ და იქმნება მეტიც და კაცში მგონია
არც ერთი ოჯახისათჳს.

სხუა რა საჭიროებისათჳს გვინდა ქალი? სწეროს? ამაშიაც სარგებლობა მოაქუს ქალსა. ჩუჱნი ქალები არც ამაში დგანან უკან. ჩუჱნ გვყვანდნენ და გვყავს ქალებიცა, რომელნიცა სწერენ და საზოგადო საქმისათჳსაც ზრუნავენ, ოჯახის მოვლის გარდა.—აი, განსვენებული ეკატერინე ერისთავისა; აი კნ. ბარბარე ჯორჯაძისა; ნინა ორბელიანისა; ჩუჱნ გვგონია, ასე წერა, როგორც ამათ უწერიათ ბევრს მაღალ სასწავლებელში გაზდილსაც ვერ შეემლოს.

სიყვარულზედ და ტრფიალებაზედ თუ ვიტყვით რასმეს, ეს ბუნებითი საქმე არის, ეს საქმეში შემოსატანი არ არის; ამაზედ არის დაფუძნებული ქუჱყანა და ზენაარსის სიტყვით, ამას მისდევს მრთელი ხალხობა. ზემოხსენებული ავტორისა, ეს რომ ასე არა ყოფილიყო, არც ის იქნებოდა.

ჩუჱნი ქალების მაღალი ზნეობა, ყოვლის კეთილის ღირსებით შემკობილი ყოფილა და არის დღესაც; ერთი, კარგი ქართველი ახლანდელი დროს პოეტი, აი რას მიუწერს ჩუჱნის ქუჱყნის მველ ქალებს, აქედგანა ჰსცნობენ. ქალსაც უკვდავი სული აქუსთ თუ არა?

სად არს თქუჱნი შუქთა მოელვარება,
გულის გრძნობა და სიმტკიცე სულისა;
რამ დააჭკნო თქუჱი ყმაწვილ ქალობა
და გაგიქროთ ალი სიყვარულისა?
გახსოვთ: ოდეს გული დაგედგათ ტახტად,
სიყვარული ზედან დაგედარბაზნათ?

მეფურად სხდით თქუენ ღვთაებისა ხატად,
შვენიერნო! რა მსატვარმან მოგხაზნათ?
ზეციურის სიმშვიდით დიდებულნო,
ქუეყნიერის ელვით გაბრწყინუებულნო,
უმანკონო, ყოვლის ფრით შემკობილნო,
განსწავლულნო, ყოვლად განათლებულნო!...
გახსოვსთ: ოდეს მაღალისა ზნეობით
ირისობდით; აკვირვებდით ყოველს სულს;
კრმალვის დროშა განვეშალათ მხნეობით,
აჩრდილებდა თქუენთა ტრფიალთ დარაზმულთ.
ვარდის ბაღსა ინდთა რაზმნი დაჯრილნი,
მოძრაობით აშუენებდნენ მელნის ტბებს;
ბროლის ფიქალს შავნი მშვილდნი მოხრილნი
ისართ მსროლნი არხევდნენ სურნელთ ზილფებს.
გახსოვსთ, ოდეს ტყუენი, თქუენი ტრფიალნი,
ველად რბოდნენ, გულსა შემოგწირვიდნენ,
ტკბილად უჩნდათ მწუელნი თქუენი ციალნი,
თავს გევლოდნენ ფარვანებრ დაიწოდნენ.
წარხდა ყველა: ჩრდილსავითღა მოძრაობთ,
მით ამტკიცებთ სოფლის ამაოებას;
საფლავს შემზერთ, მოსვენებათ მას კმაობთ,
იქ იმედობთ თქუენს მკვიდრს სავანეობას.
ქარიშხალით სიცოცხლე შერხეული
მტრებისაგან ყოვლის მხრით დაჩაგრული
განვლეთ მშვიდათ: სულს წაბერტყეთ სხეული
და მიეცით სუფთად თქუენ ღმერთსა სული.

ამად მე თქჳჱნ გარწმუნებთ ცის ასულნო,
უკჳდავება გმოსიათ ღჳთის დიდებად;
მზენო დროით გარდასრილნო ჩასულნი,
კჳლავ მოგელით ცადჳჱ აღმობრწყინებად?

ლ. მ.

(ქალთაგანი.)

---

1871 წელსა.

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ სახით:
ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას ხიდზედ, მირზოევის შენობაში, მარტიროზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

---

Дозволено Цензурою. 15 Января 1872 г.

თბილისი